

825 /2
1993

ISSN : 0763 - 7247



සුමාගම

දාරාතුල ගුරුවනුල ජොලීටියිසා දා ලිංගුරාආලුරිස මරුපානම

ඩැරූඡෝ

N° 30

PARIS

ඇංග්‍රීසුල 1993

PRINTEMPS

გ უ შ ა გ ი №30 გ ა მ 3 ს ა თ ხ მ ვ ა რ ი გ ა მ 3 ც ე ბ ა



ხ ა რ ს ვ გ ვ ვ ა რ ნ ა ი ი ა ლ ა რ ა რ ს ,
რ ქ ი თ მ ი წ ა ს ა ვ ჩ ი ს ვ ე რ , ვ ბ უ ბ უ ბ ე ბ ,
რ მ ე რ თ მ , ს ა მ შ მ ბ ლ მ მ ი ც ი ც ხ ლ ე ,
ძ ი ლ შ ი ა ც ა მ ა ს ვ დ უ დ უ ნ ე ბ .

3 2 8 5

* * * * *

29654 - 42 - 550

133



მ შ ა ბ ე ლ ი მ ი წ ა ვ !

არიან ადამიანები და არა ცოტანიც, რომლებსაც მშობლიურ მიწაშეყლის დასაცავად სისხლის დაღვრა სისულელედ, გაუმართლებლად მიაჩნიათ. ეს არის ნიჭილიზმი, რომელიც ლარჩობის გასამართლებლად მისი საკუთარი ცხვირის წინ ვერაფერს ხედავს.

ჩემო კეთილო მკითხველო, ასეთი განშტყობილება ნიადაგს ამზადებს. იმისას, რომ შენს სამშობლოში, შენ მისი ბატონ-პატრონი ხიზანად გახდე, საბოლოოდ მონაც იქცე ან გადაგვარდე, ხოლო მოძალადე, შორიდან მოთრეული გახდეს ბატონ პატრონად.

არა, არავინ იფიქროს, რომ ფუჭ სიტყვებს ვქადაგებდე უდაბნოში... ათასჯერ პირიქით, ეს გახლავთ ჩვენი ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი.

რუსული იმპერიალიზმი მოდის, ინტრიგები წინასწარ აქვს ჩაწყობილი, საქართველოს შავი ზღვის სანაპირო, რომელშიც ნაბეჭოფნოსორის დროიდან არავინ შემოგვცილებია, გვედავება და უსინდისოდ, ათასობით ქართული სისხლის დაღვრით, წარმევას გვიპირებს. ჩვენ შორის გამოჩნდებიან კეცის კოლოფები, რომლებიც პარტიული მოტივებით დაიცავენ აბსურდულ პოზიციებს.

სად უნდა იყოს ქართველი კაცი? სად ვართ ჩვენ, ვის ვამაგრებთ და ვის ვუდგივართ გვერდით? აქ ორი აზრი გამორიცხული უნდა იყოს. ჩვენ იმ ქართულ სისხლს ვეთაყვანებით, რომელიც აფხაზეთში იღვრება, იგი არაა არც ზეიად გამსახურდიასი, არც თ. სიგუასი, თ. კიტოვანის, ჯ. იოსელიანის, ან კიდევ საქართველოს დღევანდელი მეთაურის ედ. შევარდნაძის. საბედნიეროდ საქართველოს ჯერ არ აკლია არც პატრიოტები და არც სამართლიანი შურისმაძიებლები. თუ თბილისის დღევანდელი მთავრობა მის მისიას უღალატებს, მას მიწის პირიდან აღგვის ეროვნული ოპოზიცია, ქართველი ერი გარნა მანადე სხვა ვერავინ უწინამძღვრებს აფხაზეთის ომს, თუ არა თბილისის დღევანდელი მთავრობა; ამიტომ ჩვენ ყოველგვარი ორკოფობის გარეშე ვაცხადებთ, რომ ვემორჩილებით მას და



3
რომელი
მართვის მიზან
გაცხადებთ რომ თბილისის პარლამენტი და მთავრობის აუქტონი
უმაღ ერთადერთი აგტარიტეტი რომელიც იცავს აფხაზეთში
საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს. ქედს ვიხრით იქ აფხ-
აზეთის მშობლიურ მიწაზე უხვად დაღვრილ ქართული სისხლის
წინაშე.

სამშობლოვ ჩვენო, სისხლი, რომელსაც შენი შვილები
ლვრიან შენთვის უქმად არ ჩაიგლის. დგება ბელნიერი დღეები
შენი ერთობის, შენი აღმასვლის, შენი დიდების.

ჩემო სამშობლოვ მარად და მარად მიგულვე შენთან.

გიორგი ჭერეთელი
პარიზი. აღდგომა 1993

*** ***

ი ს ე ვ დ ა ჲ ა ვ ე ბ ა ჲ ე

ქართველმა კაცმა ოდითგან იცოდა ერთობის ფასი. მარ-
თალია: ახლა მას გზები აუბნიეს, მაგრამ მას ეს კეშმარიტ-
ება დღესაც გულზე ახატია. ამის დასტურა სამშობლოან მო-
სული უამრავი ცნობები, როგორც ხელისუფალთა, ისე ოპოზი-
ციის რაგებიდან. ყველა ეძებს გზას და საშუალებას სამოქა-
ლაქო ომიდან. გამოსვლისას ეროვნული ერთობის მოსამზადე-
ლად.

“იბერია-სპექტრის” 68-ე ნომერში სიამოვნებით გავეცან-
ით ცნობას, რომ წელს 21 თებერვალს, თბილისში, ჩატარებულა
საქ. ეროვნული განმანთავისუფლებელი მოძრაობის მეორე საგ-
ანგებო კონფერენცია. ჩასაკვირველია, მას არ უნდა მივანიჭ-
ოთ გადაჭარბებული მნიშვნელობა. ფილარმონიის დიდ საკონც-
ერტო დაგაბაზში, არც მთელი საქართველოს ჭარბმაღალებრივი
ყოფილა და არც კონფერენციაში მიუღია გადამწყვეტი ღონის-
ძიება, მაგრამ მას მიმატებული ჩვენი ხალხის სულიერი ლტოლ-
ვა, გულში გვისახავს იმედის სხივს.



არა, ქართველი ხალხის ერთობა ფუჭი, ჭიანი ან ფასტიფიცირებული ნერგი არ არის, არამედ – ცხოველმყოფელი, რომელსაც, თუ სათანადო ნიადაგი და პლიმატი შეხვდა, საყვარლად გაიფურ-ჩქნება და იხარებს.

მაშ, რა არის საჭირო პრაქტიკული? ჩემი მოქლე ჭია-ით, ჩვენს ეროვნულ ერთობას ხელს ის უშლის, რომ ყველა, მე ვიმეორებ „ყველა“, ვისაც კი ამავ შეუძლია, სხვებისაგ-ან მოითხოვს, რომ მას ეახლოს და დაემორჩილოს. (მაგალით-ად მოვიყვან ბ-ნ ზვიად გამსახურდიას პოზიციას. საჭ. ეროვ-ნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღნიშნულ კონფერენციის შესახებ. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მათთან თანა-მშრომლობის პირობად მოითხოვს, რომ ეს დამოუკიდებელი მო-ძრაობა მასთან „მრგვალ მაგიდაში“ გაერთიანდეს). ეს კი დამ-ლუპველად უშლის ხელს ერთობის საქმეს. ეროვნული ერთობის გზა, რომელსაც ჩვენ ვქადაგებთ, ასე არ მიემართება, იგი სხ-ვათა განქიქებას კი არ გულისხმობს, არამედ საკუთარი, თუნდაც ჩაუდენელი ცოდვების მონანიებას. უნდა აიგოს ეროვნული თან-ხმობის ხელთუჭმნელი ტაძარი. საჭიროა, რომ ეროვნული ერთო-ბა პრაქტიკულად საღი კრიტერიუმებიდან გამოდიოდეს: იყო შე-ცდომები, იყო დანაშაულებანი, იყო ძმათა სისხლისმღვრელი სა-მოქალაქო ომი და ყველაფერი ეს თუ მთლიან არა, ნაწილობრ-ივ მაინც გრძელდება. ერის უზენაესი ინტერესების მხედველობ-აში მიღებით, სპონტანურად ყველამ ხელი უნდა აიღოს ამ საძ-აგლობაზე. მიზეზთა და დამნაშავეთა ძიებით, დაზავების პერი-ოდში, არ უნდა გავალიზიანოთ საზოგადოება. არა, კი არ უნ-და დავიგირწყოთ საბოლოოდ ისინი, არამედ ჩვენ ახლა არ უნდა მოვინდომოთ მათი მსაჯულობა. ეს როლი არბიტრისა ქართველ ხალხს უნდა დავუტოვოთ. ამაში მდგომარეობს წინა-საარჩევნო დაზავება: ამ დროს უნდა მომზადდეს პირობები იმისთვის, რომ ქართველმა ხალხმა კეშმარიტად სუვერენულად, ყოველგვარი გა-რეგანი შეზღუდულობის გარეშე, მსჯავრი გამოუტანოს თამნაშა-ვეთ და ეროვნული მართვის სადავეები გადასცეს მის აჩვეულ მა-შულიშვილებს. დრო კიდევაა, მაგრამ აღარ უნდა დაგვაანდეს!

გიორგი შერეთელი

17 მარტი 1993 წლისა
პარიზი

ମଠମାଳା ପାତ୍ରଙ୍କ ପାତ୍ରଙ୍କ ପାତ୍ରଙ୍କ ପାତ୍ରଙ୍କ ପାତ୍ରଙ୍କ ପାତ୍ରଙ୍କ

2020-07-03

აგრეს ერთი წელია, რაც აზრთა გაცვლა - გამოცვლა დამყარებულის მთავრობასა და ჩვენს უურნალს შორის მას შემდეგ, რაც გასული წლის **11** ოქტომბერს განზრახული იყო დემოკრატიული არჩევნების ორგანიზაცია და ჩვენ წამოვაყენეთ ჩვენებული პოლიტიკა ქართული მოდავე პარტიების დაზავების თაობაზე, რისთვისაც უღრმეს მაღლობას მოვახსენებთ დიდი . საფრანგეთის უმაღლეს ხელისუფლებას.

უკანასკნელად საფრანგეთის საგარეო სამინისტროდან მივიღეთ შემდეგი სახის შეტყობინება:

(წერილი 10 მარტისა 1993 წ. №000132 CM)

DES

AFFAIRES ÉTRANGÈRES

PARIS, LE

10 MAR. 53 000132 AM

**LE DIRECTEUR-ADJOINT DE CABINET
DU MINISTRE D'ÉTAT**

Monsieur,

Monsieur le Président de la République a transmis votre lettre du 16 février à Monsieur le Ministre d'Etat, Ministre des Affaires étrangères, qui m'a chargé de vous répondre.

Bonne note a été prise des arguments que vous développez dans votre courrier.

Je me bornerai à constater que vous ne voyez d'autre issue, pour résoudre le conflit abkhaze, que la poursuite d'une confrontation armée, alors que la position de la communauté internationale, telle qu'elle est exprimée par l'ONU et la CSCE, va dans un sens opposé.

Je vous prie d'agréer, Monsieur, l'expression de mes sentiments distingués.


Jean-Michel CASA



ქართული ტექსტი

საქართველო
შიდა ტერიტორია

“ბატონმა რესპუბლიკის პრეზიდენტმა გადასცა თქვენი 16 თებერვლის წერილი ბატონ სახელმწიფო მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელმაც მე დამავალა გიპასუხოთ.

აღინიშნა დადებითი წინადადებები, რომლებსაც თქვენ აღნიშნავთ თქვენს წერილში. მაგრამ, აფხაზეთის კონფლიქტის მოსავარებლად თქვენ სხვა გამოსავალს ვერ ხედავთ გარდა იმისა, რომ გაგრძელდეს შეიარაღებული შეტაკება, მაშინ როცა საერთაშორისო კომუნიტეტი, როგორიცაა ონუ (გაერო), C S C F (ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის კონფერენცია) იზიარებს საწინააღმდეგო აზრს.

* *

* * *

საფრანგეთის რესპ. პრეზიდენტს ბ-ნ ფ. მიტერანს
ბატონო პრეზიდენტო,

წინასწარ ბოდიშის მოხდით, ვერ დაგეთანხმებით თქვენს ლოლიკაში აფხაზეთის კონფლიქტის თაობაზე. მე არ წამომიყენებია გზა და საშუალება ამ იმპერიალისტური ომიდან თავის დასაღწევად, არამედ პროტესტი აღვაგლინე თქვენს წინაშე, რადგანაც თქვენი სახით მე მეგულება საქართველოს ერთი ერთგული მეგობარი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თუ საქართველოს კანონიერ უფლებების დაცვაში, მის გვერდით აღმოჩნდებოდა მსოფლიო სახელმწიფოები, რომლებიც გაეთიანებულნი არიან გაეროში და ევროპის უშიშროების ორგანიზაციებში, მაშინ აფხაზეთის კონფლიქტი ადგილად მოგვარდებოდა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ რუსულ იმპერიალიზმთან დათმობებზე წახვიდოდით, და წინა პირობად შეთანხმებას გამოაცხადებით, მაშინ კონფლიქტი და სისხლის ღვრა შეიძლება რომ ძალიან გახანგრძლივდეს.

კიდევ ერთხელ ბოდიშს გიხდით შეწუხებისათვის, თქვენი პიროვნების დიდი პატივისმცემელი

გიორგი წერეთელი

NATIONS UNIES



UNITED NATIONS



CENTRE D'INFORMATION DES NATIONS UNIES

1, rue Miollis, 75732 PARIS CEDEX 15

Tél. 45 68 10 00

Réf n° 32
PU 200/1

Paris, le 4 février 1993

Monsieur le Directeur,

Le Secrétaire général de l'ONU, Monsieur Boutros Boutros-Ghali a bien reçu votre courrier en date du 6 janvier 1993. Il vous en remercie et me prie de bien vouloir vous transmettre par la présente "La note verbale en date du 25 décembre 1992 du Ministre des Affaires étrangères de Géorgie adressée au Secrétaire général.

Je vous en souhaite bonne réception, et vous prie d'agrérer,
Monsieur le Directeur, l'expression de mes sentiments distingués.

Hassen M. Fodha
Directeur

Monsieur Georges Tsereteli
Directeur du Journal GOUCHAGUI
Président de l'Association des Hommes de Lettres
et Journalistes Géorgiens en France
8, rue des Marchais
75019 Paris

ქართული ტექსტი
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საინფორმაციო ცენტრი
ვარიზი, 4 თებერვალი, 1993 წ.

ბ.ნო დირექტორ,
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა. მდივანმა
ბ.მა ბ. ბუტროს გამალიმ კარგად მიიღო თქვენი ფოსტა 1993 წ.
ნიანგრის თარიღით. ის თქვენ მაღლობას გიხდისთ და მთხოვს
გაღმოგცემ ნოტის ასლი, რომელიც 1992 წ. 25 დეკემბრის თარ-
იღით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა. გადასცა გენერ-



აღურ სამდივნოს.

პატივისცემით,

ცენტრის დირექტორი

ჰასენ მ-ფოდა

ამ ცნობის შემდეგ გვინდა, რომ ჩვენი მადლობა გამოვუტადოთ გაეროს ჭენერალურ მდივანს ბ-ნ ბ. ბუტრიოს- გვალის. სიამოვნებით ავღნიშნავთ, რომ გაერომ მისი საინფორმაციო ცენტრი გახსნა თბილისში და რომ რუსების შემოტევის დროს იანვარ-თებერვალში მისმა წარმომადგენლობამ ხმა აღმოაღლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის სასარგებლოდ.

მ ტ რ ი ს შ ე გ თ ნ ე ბ ა

“როცა ღმერთს სურს ვინმეს დასჯა,
მას ჭკუას წაართმევს ..”

ეს ანდაზა ამოწერილია ა.წ. 26 თებერვლის პარიზში გამომავალ “რუსსკაია მისლიდან”, ბ-ნ ანდრეი კრივოვის სტატიიდან: “სკოლკო ვოინ ეშჩო პრედსტოიტ”. ბ-ნი კრივოვი მოხმობილი ანდაზით ჭკუას კი არ გვასწავლის მხოლოდ, არამედ უფრო გვემუქრება. საქმე იმაშია, რომ: თბილისში ადგილი ჰქონებია მანიფესტაციებს, რომლებიც მოითხოვდნენ 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენას. 1921 წლის კონსტიტუციაში კი არავითარი ავტონომია არ არსებობს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში: არც სამხრეთ ოსეთის, არც აფხაზეთის და არც აკარის. ყველაფერი ეს პოლიტიკური დანაწილება საკუპაციო საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ, კრემლმა მოახვია თავს საქართველოს.

ბ-ნი ანდრეი კრივოვი ეუბნება მანიფესტაციებს: “თქვენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმება მოინდომეთ, აფხაზეთის ავტონომიის გაუქმებაც გსურდათ და ორივე ტერიტორია დაპკარგეთ. თუ ჭკუას არ ისწავლით, აქარასაც დაპკარგავთო..” აი, როგორი მუცლის გვრემა აქვს ბ-ნ ა. კრივოვს და მასთან ერთად – მთელ ე.წ. რუსულ “დემოკრატიულ ბანაკს”, ქ-ნ ელენე ბონერის მეთაურობით.

მ ტ რ ი ს შ ე გ ო ნ ე ბ ა

9



ბატონ ანდრე კრივოვს უნდა დავუმტკიცოთ, რომ აღმოჩენის ანგარიში არ შედის ჭიშა აგვირის ქართველებს. ჩვენ უძველესი ცივილიზაციის მქონე ერის პრეტენზიები გვაქვს და ღმერთმა ნუ. ქნას, რომ ბანანების რესპუბლიკების დონეზე ჩამოგვეთდეთ სახელმწიფოს მმართველობის საქმეში. არადა, ჯერ-ჯერობით სწორედ აქეთ მივექანებით!

ჩვენ ძირითადად ვეთანხმებით დეპუტატ ირაკლი წერეთლის გამოსვლის შინაარსს საქართველოს პარლამენტის სხდომაზე 6. დეკემბერს, რომელიც გამოქვეყნდა **11- 17 დეკემბრის გაზეთ** "საქართველოში".

მაგრამ გზა, რომელსაც ერ. დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე სთავაზობს საქართველოს პარლამენტს, უმოკლესი არ არის და მასში მოხსენიებული არ არის მთავარი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტები:

1. **1921 წლის ს. რ. კონსტიტუცია და**

2. **რუსეთ - საქართველოს 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება.**

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ქართული დიპლომატია, როცა ის მოლაპარაკებებს აწარმოებს რუსეთის მთავრობასთან, აღბათ იყენებს ამ უმნიშვნელოვანეს იურიდიულ და პრაქტიკულ დოკუმენტებს, მაგრამ ახლადარჩეულმა ს. რ. პარლამენტმა საზეიმო ვითარებაში უნდა გამოაცხადოს **1921 წლის კონსტიტუციის ძალაში შესვლა და რუსეთთან სამეგობრო ხელშეკრულების ურყევი პირობად კი მეორე დოკუმენტის არსის პატივისცემა.** (აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ოკუპაციისა, საბჭოთა რუსეთს და შემდეგ – სსრკ-ს მთავრობას არასოდეს არ დაუგმია ოფიციალურად ეს დოკუმენტი).

თუ დღევანდელი რუსეთის მთავრობა ლოლიკური იქნება და არ ისურვებს ძველი იმპერიალისტური პოლიტიკის ფარულ განხორციელებას, მაშინ მან უნდა ჩაცნოს, რომ **1921 წელში წითელი არმია უმიზეზოდ შემოიჭრა და დიდი უბედურება დაიტეხა თავს მშვიდობის მოყვარე ქართველ ხალხს.**

მეორე საკითხი, რომელიც პარალელურად და შეუწყვეტლად უნდა იდგეს ქართველი ხალხის წიაღში, ესაა ეროვნული დაზავება. დღიდან ზეიდად გამსახურდიას ჩაუიმის ძალით დამხობი-



სა, ჩვენ არ შეგვიწყვეტია მცდელობა ანტაგონისტურიზაციის დასახლოებების და დასაზავებლად. ეს არა იმიტომ, რომ ჩვენ ბუნებით მშვიდობის მოყვარე ვიყოთ, არამედ ინსტიქტიურად ვგრძნობდით, რომ განხეთქილების კოცონს აღვივებდნენ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი დაუძინებელი მტრები, ვგრძნობდით, რომ ეროვნულ დაშლილობას თან მოჰყვებოდა ქართველი ხალხის საშინელი ფიზიკური და მორალური სიდუხჭირე, ქართული სახელმწიფოებრივი მსხვრება და ნგრევა...

ჩვენ ისევ და ისევ ვდგევართ შემარიგებელ პოზიციაზე, რადგანაც ვერ ვხედავთ სხვა უკეთესს და უნდა ვთქვათ, რომ თუ ამ მიმართულებით ძალისხმევას არ შევანელებთ, პირიქით, გავაძლიერებთ, ჯერ-ჯერობით დაკარგული საბოლოოდ არაფერია.

გ. წერეთელი

* * *

მითი და რეალობა (უცხოეთის პრესა საქართველოში)

...საქართველოს პარლამენტის შენობა ცაცხლის აღში იყო გახვეული. რუსთაველის გამზირზე, – კვლავ რუსული ტანკები. „კალაშნიკოვ“ მომარჯვებული „წითელი ეშმაკუნები“, სისხლის ტბორებში აღრჩობდნენ საქართველოს ეროვნულ სულს. მსოფლიო პრესა კი, „ჩრდილოეთიდან ამოსული მზით“, თვალდაბრმავებული, ტაშს უკრავდა ერის ჯალათს და საქართველოში „დიქტატურის“ ღამხობას ესაღმებოდა...

არც თუ დიდი დრო გავიდა მას შემდეგ. შეიცვალა მსოფლიო მას-მედიას აზრი საქართველოში მიმღინარე პროცესებზე. გადავავლოთ თვალი დღევანდელ უცხოეთის პრესას...

მარკ ალმონდი, „სანდი ტელეგრაფ“, 18.10.92
(დიდი ბიიტანეთის აღამიანის უფლებათა დაცვის ჰელიკის ჯგუფის წევრი, ბ-ნი მ. ალმონდი ოქტომბრის არჩევნების დროს თბი-



ლისში იმყოფებოდა დამკვირვებლად).

“...1992 წლის ოქტომბერში, ბ-მა შევარდნაძემ არაგასტი მდგომარეობა იმ არჩევნებით დააკანონა; რომელშიც იგი ერთადერთი კანდიდატი იყო. როგორც მან განაცხადა, იგი ცოტა “ დაბნეულია იმ გარემოებით, რომ მის კანდიდატურას არავინ დაუპირისპირდა. მაგრამ, მეორეს მხრივ, რა უნდა მექნა, თუ ყველა პარტია უკლებლივ მე მიჰერდა მხარსო ”....

...ახლაც, როცა მისი რწმენით, საქართველოს მოსახლეობის 96 %- მა უყოყმანოდ მას მისცა თავისი ხმები, ბ-ნი შევარდნაძე, მისივ თქმით “ ცოტა უხერხულად მიიჩნევს იმის გახსენებას, რომ “ ხალხის ერთსულოვანი შხარდაჭერით „ იგი მაშინაც “ სარგებლობდა „, როცა კომუნისტური პარტიის ლიდერი იყო.

...ადგილი მისახვედრია, თუ რამ განაპირობა “ ხალხის ასეთი ერთსულოვნება „, თუ ყურადღებას მივაჭრევთ (რასაც დიდი დამკვირვებლობა არ ესაჭიროება) თბილისისა და რაიონების საარჩევნო პუნქტებთან გამუდმებით მდგომ, შავი ტყავის ქურთუკებში გამოწყობილ, “ კალაშნიკოვიან „ ბანდიტებს, რომელიც მაშინაც კი ეწევიან ფულის გამოძალვას, როდესაც საარჩევნო უბნებში “ წესრიგს ამყარებენ „....

საგანგაშოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს საიდუმლო პოლიციის, “სუკის” შეფერა (ირაელი ბათიაშვილი. რედ.) გადაღვინა დააპირა იმის გამო, რომ უძლური შეიქნა შეეჩერებინა პატიმართა არნახული წამება, რომელსაც პოლიტიკურად “ არასაიმედონი „ განიცდიან დღევანდელ საქართველოში. ამჯერად, ჯალათა მოჩიდები მსხვერპლი თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკოსი ზაზა წიგლაურია.

...შესაძლოა, მოსახლეობის უმრავლესობამ კიდეც მისცა ხმა შევარდნაძეს, მაგრამ, ცხადია, ეს იმიტომ, რომ ქართველმა კაცმა დღეს კარგად იცის, რომ მის ქვეყანაში პოლიტიკას წარმართავს ტყვია და არა საარჩევნო ბიულეტენი.

* * *

ეპ. გლებოვა, აკ. მიქაძე

“ მოსკოვსკიდ ნოვემბრი, 15.12.92.

“ 1991 წლის დეკემბრის ბოლოს, ამიერკავკასიის სამხედრო



ოლქის სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ვალერი პატრიქელეშვილი სასწრაფოდ გავიდა შვებულებაში და საქართველოს მთავრობის -პატრონებად თავისი მოადგილეები: გენერალ-ლეიტენანტები გრეგორი და ბეპაევი დასტოვა.

იანგარ - ღეკემბრის მოვლენებს გენერალი სუფიან ბეპაევი ასე ახასიათებს: “ თბილისის ომის კულმინაციად ორ დღეს მივიჩნევ, – 24 და 28 ღეკემბრის 24-ში, გამსახურდის მომხრებმა განდევნეს შეიარაღებული ოპოზიცია რუსთაველის გამზირიდან. თ. კიტოვანი “ამაშიდან გასვლასა” და უცხოეთში გაქცევას აპირებდა... სიტუაცია ძალზე კრიტიკული იყო და მე იძულებული გავხდი „შემეყვანა საქმეში“ ერთი წვედანაყოფი... ეს რომ არა, გამსახურდის მომხრეთი გამარჯვება გარდაუვალი იყო... ღულა რვაში კი,, დავახმარე ოპოზიციას რამდენიმე ათეული ჯარისკაცი საგანგებო დანიშნულების ძალებიდან სატელევიზიო ანძის აღებში... ერთ - ერთი მათგანის დაღუპვამ გენერალი შეაშინა – „ყველაფერი გამჟღავნდებოდა“ და მან გაარიდა ტელეანდას რუსის ჯარისკაცები, მაგრამ საქმე, მისივ თქმით, „უკვე გადაეთებული იყო...“

მთავრობის სახლზე თავდასხმისათვის ოპოზიცია მარაგდებოდა იარაღით ვაზიანის სამხედრო ქალაქში განლაგებული საწყობებიდან. გენერალი სუფიან ბეპაევი კი, “თბილისის ოპერაციაში წარმატებისთვის მორიგი ვარსკვლავით დაჯილდოვდა და უცხოეთში (სამხრეთ იემენში) იქნა გადაყვანილი...”

* * *

გუსტავ შრომი, “დი ველტ”

“...ბონის მთავრობამ უარი უთხრა ზეიად გამსახურდიას გერმანიაში შესასვლელ ციზაზე,...”ვინაიდან ამით დაზარალდება არსებული საგარეო პოლიტიკური ინტერესები”....

ავსტრიის ხელისუფლება არ იზიარებს ბონის ამ შიშს. მან შესაძლებლობა მისცა გამსახურდიას ჩასულიყო ვენაში და იქ საჯარო გამოსვლები მოეწყო... ეჭვგარეშეა, რომ დასავლური საზომებით, გამსახურდია ნაკლები დემოკრატი არაა, ვიდ-

რე მისი მემკვიდრე შევარდნაძე, რომელიც ახლა, უკიდურესად
ნად მოინათლა და რომელიც მაშინ, როდესაც გამართებულია
პოლიტიკური პარიმარი იყო, ხელმძღვანელობდა საქართველოს
კომპარტიის სუკის გენერლის ჩინში...

...ბუნებრივად ჩნდება კითხვა: – რომელი “საგარეო ინ-
ტერესები”, უეილაქებოდა იმით, თუ გამსახურდია გამართავ-
და პრეს-კონფერენციას მიუწენში ან ბონში? ხომ არ არის
გენშერ-შევარდნაძის „მეგობრობა იმის საფუძველი, რომ მათ
“სხვა” მომზორებელი და მას მეტერნისის მეთოდებით ხმის ამო-
ღების საშეალება არ მისცენ ?

* * *

“იურიდიჩესკაია გაზეტა, № 43

ვალერია ნოვოდვორსკაია, რესეტის დემოკრ. მოძრაობის ლიდერი

„...თვალი გადაავლეთ ქართული “დემოკრატიისა”, და პირ-
ადად შევარდნაძის მონაპოვარს:

– მარტო თბილისში, მშვიდობიან მიტინგებზე დაიხვრიტა ორმ-
ოცდათამდე, ხოლო დაიჭრა და დასახიჩრდა შვიდასამდე ადა-
მიანი;

– ზუგდიდში მიტინგებსა და უბრალოდ ჭურებში “მხედრიონის”,
მსხვერპლი გახდა ას ოთხმოცდათი უდანაშაულო ადამიანი.

– კანონიერი უფლებამოსილების ნებაყოფლობით მოხსნისა და
ცრუ “აღიარებაზე”, უარის თქმის გამო აპატიმრებენ და სა-
ტიკად უსწორდებიან უზენაესი საბჭოს დეპუტატებს, ოპოზი-
ციონერებს თავისი ბინების სადარბაზოებთან ხოცავენ.

– დაპატიმრებებს აწარმოებენ ყოველგვარი სანქციების გარე-
შე, სამოქალაქო ტანისამოსში ჩატარებული პირები.

– ოპოზიციონერებს ხშირად აუპატიურებენ საპატიმროებში,
(როგორც ქალებს, ისე- მამაკაცებს).

– აუტანელი წამებისა და ტანჯვის მეშვეობით, პოლიტატიმრ-
ებს აიძულებენ რწმენის შეცვლას...

რისთვის სჩადის ყოველივე ამას შევარდნაძე? იქნებ, მავ-

ანი ფიქრობენ, რომ იგი ჭიუიდან გადავიდა? არა უნდა არის არა უნდა მან ზემომიწევნით იცის, რასაც სჩადის... ქართველი ერის უძიდესი ნაშილი არ სცნობს ხუნტას, შევარდნაძეს დღითი-დღე ეცლება ნიადაგი ფეხქვეშ, ამიტომაა, რომ იგი სამხედრო ძალით ცდილობს ხელისუფლების შენარჩუნებას...

ამა წლის დამდეგს, საახალწლო მილოცვაში ჩედაქცია ულცავდა რუს ხალხს შევარდნაძის ჩუსეთიდან წასვლას. ჩვენ მივუთითებით, რომ სადაც არ უნდა ამოჰყოს თავი სსრკ №2-მა კრმუნისტმა, - იმ ბედირულ მხარეს სიცრუე, ნგრევა და უბედურება ემუქრება... და აი შედეგიც – ამდენი სისხლი არასოდეს დაღვრილა საქართველოში...

* * *

ა შ შ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო საზოგადოება საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ

“1992 წელს, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, საქართველოში შეიზღუდა პრესის თავისუფლება. დაიხურა „ზ. გამსახურდიას მომხრე გაზეთები “იბერია - სპექტრი”, და “თავისუფალი საქართველო”. ივნისში, სასამართლო პროცესზე “იბერია-სპექტრს”, ბრალდებად წამოუყენეს სახელშოდების ხელახალი ჩეგისტრირების დაგვიანება. ამ გაზეთზე თავდასხმები მეოთხდურად მიმდინარეობს. გაზეთის რედაქტორმა, რომელსაც საშინელი წამებით მოუკლეს იანგარში შვილი, განაცხადა, რომ მთავრობის მაღალი რანგის მოხელემ პირადად მოსიხოვა მას არ გამოემვაყნებინა ნომრისთვის გამზადებული მასალა”

გაზეთ “თავისუფალი საქართველოს”, თანამშრომლებს სდეცნიან და ავიტოვებენ. უურნალისტი ანა ჭავჭავაძე დააპატიმრეს, რედაქტორი კი, ქ-ნი თამარ ებრალიძე იძულებით ემაგრაციაში იმყოფებოდა მოსკოვში. ბევრმა რადიო და ტელე ჟურნალისტმა დაპკარგა სამსახური ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდგომ. ბევრი გაზეთი ერიდება მთავრობისა და კერძოდ – შე-

ვარდნაძის კრიტიკას, რაც განპირობებულია პარამიტრული ბანდების მხრისძიების შიშით...



* * *

“შენშენ რეჟიმი” (მანის ფრანგულტი, ადამიანის უფლებათა დაცვა, 1992წ. ნოემბერ-დეკემბერი).

„... თბილისის არჩევნებში მონაწილე **45** პარტიიდან არც ერთმა არ წარუდგინა თავისი თავი და პროგრამა ამომრჩევლებს. ყველა ეს პარტია არსებული რეუიმის მომხრე იყო და ბევრი მათგანის არსებობის შესახებ არჩევნებამდე არაფრი იყო ცნობილი...“

„...ახალი პარლამენტი უპირატესად საქართველოს ძველი კომუნისტური ძალებითაც დაკომპლექტებული სხვათა შორის, მასში შედის საქართველოს კომპარტიისა და ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის - კომკავშირის ცენტრალური კომიტეტებისშვილი ყოფილი მდივანი. ასევე ჭარბობს კომპარტიის რაიონულების მდივანთა და პარტაპარატის ყოფილ მუშაკთა რაოდენობა. მოსახლეობის მიერ პირდაპირი არჩევნებით არჩეულმა პარლამენტის თავმჯდომარემ, რაც მსოფლიო მასშტაბით უპრეცენდენტო შემთხვევაა, – ეღ. შევარდნაძემ ნოემბრის დასაწყისში სპიკერად დანიშნა გოგუაძე, რომელიც მისი იდეოლოგი იყო თბილისის უნივერსიტეტში.

თვითონ შევარდნაძემ „არჩევნებისთანავე, თავი სახელმწიფოს“ თავმჯდომარედ, გამოაცხადა, ასევე – საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად...

* * *

...პოლიტპატიმართა რიცხვმა შევარდნაძის საქართველოში ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. იგი სულ უფრო მატულობს. აპსოლუტურად უდანაშაული ადამიანებს (და მათ ნაცესავებს) რომლებიც თავისუფლად არჩეული ხელისუფლების არსებობის მოკლე მანძილზე საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ცყვნენ და-

ნიშნული, ახლა სულ უფრო ხშირად ადანაშაულებენ გურიაში მართვას ადანაშაულოს ღალატში, (ორივე ბრალდება ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას თხუთმეტი წლით, ანდა სიკვდილით დასჯას). ასეთი ბრალდებები ამ ბოლო დროს წამოუყენეს ყოფილი პარლამენტის დეპუტატებს მიხეილ მაყაუვილს, ვიქტორ ღომულებსკის, ჰელსინკის მოძრაობის წევრს თამაზ წიკლაურს, ექიმებს გედეონ და პეტრე გელბახიანებს.

* * *

„... ზაფხულში გაძლიერდა დასაცავლეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონების აწიოდება, რაც განახორციელეს შევარდნაძის მოაღვილის = იოსელიანის რაზმებმა (“მხედრიონი”). მათ ასობით ადამიანი სიკვდილამდე აწამეს, მხოლოდ წალენჯიხის რაიონში ორმოცხე მეტი ადამიანი მოჰკლეს. მათ ახლობლებს “ მხედრო-ონელები ” ორმოცდათ ათასს სხალავდნენ თითო გეამში.

... აფხაზურ სოფელ ტამიშში, კიტოვანის გვარდიელებმა საცხოვრებელი სახლები მიწასთან გაასწორეს; თორმეტი წლის გოგონა მშობლების თვალშინ ჯგუფურად გააუპატიურეს, მისი მამა კი - დახვრიტეს...

* * *

ადამიანის უფლებათ დაცვის საერთაშორისო საზოგადოება (*YGMF* თავს უფლებას აძლევს დასვალს კითხვა : კიდევ რამდენ ხანს აპირებს გერმანიის მთავრობა საქართველოს ხუნტის ტერორის მიჩქმალვასა და მიჩუმებას? კიდევ რამდენი აწიოდებული ქართული ოჯახია საჭირო, რომ გერმანიამ საბოლოოდ უთხრას “მადლობა”, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს - შევარდნაძეს?

* * *

“მოსკოვსკიენოვსტი” № 24, აკ. მიქაელ

“... საქართველოში ვეღარ ხერხდება შეიარაღებულ ფორმირებათა კონტროლი. სიტუაცია უმართავი ხდება. შეინიშნება

ამ ფორმირებებს შორის ეკონომიკის სხვადასხვა ცალიერების დან შემოსავლის განაწილება. (მაგ. გვარედია „აურნტროლებს“ ნაგორობს, ხოლო „მხედროინის“, კომპეტენციაში შედის მატყულისა და ლვინის წარმოება. საჩვიან თანამდებობებზე ინიშნება მხოლოდ გვარდიისა ან „მხედროინის“, ხალხი. მათ მიერ დაშინებული მოსახლეობა უხმოდ შეჰყურებს ჩვეულებვრივი ბანდიტიზმის სახელმწიფო ბანდიტიზმად გარდაქმნის პროცესს.


* * *

ტიბო მურგი, საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბიულეტენი, 05, 02, 93.

„... პუტჩიმა, რომელმაც დაამხო საჭართველოს კანონიერი მთავრობა და ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი, კიდევ ერთხელ წარმოგვიჩინა, თუ რა ირის სინამდვილეში რუსეთის „დემოკრატია“: ეჭვს გარეშეა, რომ სწორედ მოსკოვი იყო ამ პუტჩის ორგანიზატორიცა და შემსრულებელიც, რასაც აღასტურებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მხედართმთავარი გენერალი ვალერი პატრიკევიც. რამ აიძულა მოსკოვი, რომ ეს მეტად უმსგავსო ნაბიჯი გადაედგა? პასუხი მარტივია – მოსკოვს ესჭიროებოდა კავკასიის უმთავრესი სახელმწიფოს – საქართველოს სათავეში კრემლის მორჩილი და ერთგული კაცი...

* * *

... დასავლეთისთვის, ინფორმაციის ერთადერთი წყარო დღეს საც საბჭოთა საინტრომაციო საშუალებებია, ტომელიც, სსრკ-ს დაშლის შემდგომაც კრემლის კონტროლის ქვეშ იმყოფება. ბუნებრივია, რომ გამსახურდიას იმიჯი, – როგორც ქსენოფონბისა და დიქტატორის გულმოლგინედ იძერწებოდა არა მხოლოდ რუსეთში, არამედ – მთელს დასავლეთშიც. ამიტომ მოხდა, რომ ამ პიროვნების კუთხმარიტი სახე – ინტელექტუალის, აღამიანის, რომელიც მთელი სიცოცხლე ებრძოდა კგბ-ს, ადამიანის უფლებათა ცნობილი დამცველისა, გაეხვია კორებისა და სიცრუის



18 გ უ შ ა გ ი № 30


1993

გ ა ზ ა ფ ხ ს უ ლ ძ

სამოსელში. უნდა აღინიშნოს აუცილებლად ისტუ, რომელიც მოვალეობას არ აქვთ და გამოკრატიის დროს გადაიდგა პირველი ნაბიჯები დემოკრატიისკენ და, რაც მთავარია, — დაიწყო კომუნისტური ინსტიტუტების დემონტაჟი.

... დღეს ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ბოლო მოელოს ქართველი ხალხის ტანჯვას, რაღაც იმათ, ეინც მართავს საქართველოს დღეს, მიიყვანეს ქვეყანა საშინელ სამოქალაქო ომამდე, მთლიანად გააჩანაგეს ქაუცინის ეკონომიკა. შევარდნაძის ჩასვლამ საქართველოში ვერაფერისიკეთე მოუტანა ხალხს. მისი მოადგილის — იოსელიანის „მხედრონმა“ კი, გაუთავებელი ძარცვა-გლეჯითა და ტერორით საქართველო შუა საუკუნოებან ქვეყანას დაამსგავსა... დადგა უამი, რომ მთელმა მსოფლიომ გაიცნობიეროს. სიმართლე საქართველოს შესახებ.

პუბლიკაცია მოამზადა
სანდრო თუშმალიშვილმა



ქ ი რ თ ვ ე ლ თ ა უ ძ ვ ე ლ ე ს ი ი ს ტ ო რ ი ა .
რ ა ს ა . ე ნ ა . ი ს ტ ო რ ი ა .

კაცობრიობის ისტორიის ყველაზე უძველეს პერიოდში, რომელსაც კი დღეს მეცნიერება იცნობს, კავკასიიდან მოყოლებული: წინა აზია, მესოპოტამია და ხმელთაშუა ზღვის ნაპირები ერთი რასის ხალხით ყოფილა დასახლებული. ერთი მხრით, ძველი აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლის თანამედროვე დონე და მეორეს მხრით, - დღეს საქართველოში უხვად აღმოჩენილი არქეოლოგიური ნაშთები საბოლოოდ ადასტურებენ ამ დებულებას.

ქართველთა წინაპრები ამ რასის ერთ შტოს წარმოადგენდნენ და, უკვე გამოვლენილი საბუთების მიხედვით, უძველესი დროიდანვე სცხოვრობდნენ კავკასიაში და აგრეთვე ზოგი ტომები გამოიყენენ იყვნენ მესოპოტამიაში და წინა აზიაშიც.

რაც, რომელსაც ეკუთვნიან ქართველები, არ არის არც სემიტური და არც ინდო-ევროპული. ის წარმოადგენს თეთრი რასის დამოუკიდებელ შტოს. ის განსხვავდება სხვებისაგან როგორც ანტროპოლოგიური, ისე ლინგვისტური ნიშნებით, რომელთაც დღეს ეკროპაში „აზიანიკებს“ უწოდებენ.

მაგრამ, ამ მოდგმის ხალხები გაჰქრინენ დიდი ისტორიული მიმოქცევების დროს. ზოგი დაიღუპა და ზოგიც - გაითქვითა ინდო-ევროპულებსა და სემიტებში. ამ მოდგმისა ერთად ერთი - ქართველობა გადააჩა, როგორც დამოუკიდებელი ეთნიკური და პოლიტიკური ერთეული. ხოლო მათთან ერთად, - ესპანეთისა და საფრანგეთის ბასქები (თუ მათი ქართველებთან ნათესაობა საბოლოოდ დამტკიცდა) და აგრეთვე ჩრდილო-კავკასიის მთიული ტომები. ამიტომ იყო, რომ მეცნიერებამ ეს ხალხები ვერ მიაკუთვნა ვერც ერთ არსებულ ლინგვისტუროჯახს.

ამ ხალხთა შორეული წარსული აქამდე ბნელით იყო მოცული. ხოლო უკანასკნელ ხანებში ძველი აღმოსავლეთის ხა-

ლხების შესახებ ბევრი რამ იქმნა გამორკვეული. ასწერებ ქართველი ქართველოს მიწაზე აღმოჩენილ იქნა მრავალი არქეოლოგიური რი ნაშთები, და ეს ვარემოება საშუალებას მოგვცემს თუნდაც ოდნავ აღვადგინოთ ქართული მოდგმის უძველესი ისტორია და მისი დამოკიდებულება ძველი აღმოსავლეთის ხალხებთან.

ქართველთა ვინაობის საკითხმა დიდი ხანია მიიქცია მეცნიერთა ყურადღება. ძველ ქართულ მწერლობაში, რომლის ნაშთები მოგვეპოვება მხოლოდ მეცნიერებული არქეოლოგიური მუზეუმისა, არაფერია შემონახული არქეოლოგიური ეპოქის შესახებ. დროთა სვლას ქართველთა მეხსიერებიდან ამოუშლია ამბები მისი შორეული წარსულისა. ქართული წერილობითი ძეგლების უქონლობას ავსებს არქეოლოგიური აღმოჩენები და უხვი მასალა ქართული ფოლკლორისა. ეს მასალები დაცულია სარწმუნოებრივ გაღმოცემებში, აღათ-ჩვეულებებში, გეოგრაფიულ სახელებში და სხვა. ხოლო უცხო ენაზედ ცნობები უკვე მოგვეპოვება ასურთა იმპერიის დროიდან და განსაკუთრებით მდიდარი მასალა – ბერძნულ და რომაულ წყაროებში, რომელიც ზოგადად მაინც ჰქონება ნათელს ქართველი ხალხის ანტიკურ ეპოქას. ეს საბუთები იწყება მეცნიერებების საუკუნიდან ქ.წ.ინ. მაგრამ, ყველაზე ცოცხალი და ხელმოსაკიდებელი საბუთი მაინც არის ენა, რომლის შედარებითი ანალიზით შესაძლებელი ხდება მთელ ჩიგ პრობლემათა გადაჭრა. ქართული ენის შესწავლისა და მისი ამა თუ იმჯგუფისადმი მიკუთვნებისათვის დიდი შრომა ცყო გაწეული.

პირველად, ქართული ინდო-ევროპულ ენათა ჯგუფს მიაკუთვნეს. ამ აზრს იზიარებდნენ : ლეიბნიცი, ბოპი, ბროსე და სხვ. I) დღეს ეს აზრი უარყოფილია. მაქს მიულერმა და უკ დე მორგანმა ქართული დაუნათესავეს თურანულ ენებს. აჩც ეს თეორია გამართლდა. ალ. ტრომპეტმა ქართული და-

1) ივ. ჯავახიშვილი. ქართ. ერის ისტორია. ტ. I. 1907. თბილისი.

უახლოედ სემიურ და ქამიურ ენებს. ცოტა გვიზუდებული სემიტურს დაუახლოედ ქართული, მისი იაფეტური თეორიით, ქართული ენა შედის იაფეტურ ოჯახში ბასკურსა და სხვა ენებთან. 2).

პირველი ნოეტიური ენა შეიცავს: სემიურს, ქამიურსა და იაფეტურს. ნ. მარის აზრით, ბიბლიური თქმულებით ენა-თა შეჩევის ამბები არის გამოძახილი იაფეტურ ენათა სინამდვილისა და დასძენს: "მთელ იმდროინდელ კულტურულ ქვეყნიერებაზე, დაწყებული კაცკასიიდან და მცირე აზიიდან პირენეის ნახევარ-კუნძულამდე იყო ერთი ენა, ერთი იაფეტური ოჯახისა. სემიტებთან ჯერ არ იყვნენ დაშორებული თუმცა უკვე გამოყოფილი იყვნენ". 3). დღეს ეს თეორიაც უარყოფილია.

როგორც წინა საუკუნეებში, ჩვენს დროსაც გავრცელდა აზრი ქართველების ნათესაობის შესახებ წინა აზიის ძველ მოსახლეობასთან. ფრ. ჰომელი ამტკიცებდა, რომ ქართულს, კლამიტურს, ხეთურს, კაპადოკიის ენებსა და ბასკურს აქვთ ურთიერთ ნათესაობა. ხოლო ლენორმანი და მასპერო ქართველ ტომებს, მუსკებსა და ტაბალებს უნათესავებდნენ ურარტუს, რომლის ტერიტორია იყო დღევანდელი სომხეთი 4). მსგავსი აზრი გამოსთვავა ვინკლერმაც; ხეთებს, ალაროდიელებს (ხალდებს) და ტიბარენებს (ე.ი. ტაბალებს) უნათესავებს ქართველებს საისიც. 5).

ყველა აღნიშნული მოსაზრებებიდან თუმცა ზოგი სიმართლეს მიუახლოვდა, მაგრამ საკითხი მაინც ბუნდოვანი დარჩა. ამას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ძველი ხალხების შესახებ აქამდე ბევრი არაფერი ვიცოდით და ერთადერთა უოცხლად გადაარჩენილი ქართული ენაც აღნიშნულ შეცნიერთა-

2) ნ. მარ. იაფეტიჩესკაია ტეორია. მოსკვა, 1924.

3) ნ. მარ. იაფეტიჩესკი კავკაზი ტრეტი ელემენტ ვ სოჭიდანი სრედიზემნომორსკოი კულტური. ლეიბნიც 1930.



გან დიდმა უმრავლესობაშ არ იცოდა. ჩვენს დროში შეუძლია ებით ბევრი მასალაა აღმოჩენილი და ამავე დროს, ქართულ-ის კარგმა მცოდნებმა ამ საკითხს ნათელი მოაფინეს.

ამ მხრივ პირველი საკითხი, რომელიც გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, ეს არის ქართულის პხლო ნათესაობა ჩრდილო-კავკასიის ხალხების ენებთან. ეს არის კავკასიურ ენათა ოჯახი. ენათა ეს ოჯახი ნაწილდება ოთხ ჯგუფად. თვითონეული ამ ჯგუფთაგანი შეიცავს მრავალ ენასა და დიალექტს;

1. ქართული ჯგუფი: ქართული, მეგრულ-ჭანური, სვანური.
2. სინდური ჯგუფი: აფხაზური, უბისური, ჩერქეზული, ყაბარ-ლოული.
3. ღილღური ჯგუფი : ჩაჩნური, ქისტური და წოური
4. დაღესტნის (ლეკურ-ალბანური): ეს ჯგუფი შეიცავს ოცდა-ათამდე დიალექტს.

ი. ჯვარის შვილი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ეს საკითხი, დაასკვნის: “ქართველთა, სინდ-ღილღვ-ლეგ-ალბანელების შორეული წინაპრები ღვიძლი მოძმე ტომები ყოფილან, რომელთაც მონათესავე და თავდაპირველად ერთი ენაც კი უნდა ჰქონოდათო ”.

ამ ენათა ნათესაობის შესახებ დასავლეთ აზიის ძველი ხალხების ენებთან აგრეთვე ზოგი რამ გამორკვეულია. კურძოდ, ურარტუს ენის ნათესაობას ქართულ ენასთან აქვს ძველი ტრადიციაც. ჰეროდორე, რომლის დროს ამ საკითხზე ტრადიცია უფრო ცოცხალი უნდა ყოფილიყო, ურარტოს მოსახლეობას ალაროდიელებსა და სასპირებს ეძახის და დასძენს რომ: მოსოხებს, ტიბარენებს, მაკრონებს, კოლხებს (ქართ. ტომები), ალაროდიელებსა და სასპირებს აქვთ ერთნაირი ჩვეულებები, იარაღები და ერთნაირი ხასიათი. ე.ი. ის ქართველ ტომებსა და ურარტუს მოსახლეობაში ხედავს ერთსა და იმავე ეთნიურ ელემენტს.

ურარტუს მოსახლეობის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ერთ მძლავრ შტოს დასავლეთ აზიის მოსახლეობისა, დარჩენილია ვანის ლურსმული წარწერები, რომლის ამოკითხვა სცა-

და მრავალმა მეცნიერმა და დიდი უმრავლესობა ამ წარმომადგენ უნათესავებს ქართველებს. ერთი უკანასკნელი ამოკითხვა განის იმ წარწერებისა, რომელიც დაცულია თბილისის მუზეუმში, ეკუთვნის ქართველ ორიენტალისტს გიორგი წერეთელს. ეს წარწერები ეკუთვნიან მერვე-მეცნიერებრე საუკ. ქ.წ. ქართულ ენასთან შედარების შემდეგ, გ. წერეთელი იძლევა შემდეგ დასკვნას: “ზემოდ დასახლებული ზოგიერთი საერთო მოვლენები ზმნის დარგში მიუთითებენ ურარტულისა და ქართველურ ენათა მართლაც საოცარ მსგავსებაზედ. მაგრამ, მსგავსება მარტო ამით ირ განისაზღვრება, იგი საკმაოდ იჩენს თავს აგრძელებელის სხვა ნაწილებში: ასე მაგალითად, ურარტულ სახელთა ბრუნება, რომელიც აგლუტინატიურ ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით უახლოვდება ქართულს. არა მარტო ცალკეულ ბრუნვათა სინტაქსიური მნიშვნელობა, არამედ მრავლობითი რიცხვი, ნაცვალსახელი, ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელის საშუალებით ზედსართავის წარმოება, ნაწილობრივ ზმნის სუფიქსიც და სხვ. მოწმობს, რომ ურარტული ერთგვარ ენობრივ კავშირში იმყოფება ქართველურ ენებთან”.

სომხის მეცნიერი აღონცი, ვრცელი კვლევა-ძიების შემდეგ იმ დასკვნამდე მიღის, რომ აღიარებს ურარტულთა ნათესაობას ერთი მხრივ ქართველ ტომებთან, მეორეს მხრივ კი ჰურიტებთან. უფრო კი ფიქრობს, რომ როგორც ურარტები, ისე ცველა ქართული მოდგმის ხალხები წარმოადგენენ ნაწილს დიდი ჰურის რასისათ.

ქართულის ნათესაობა ძველი აზიის ხალხებთან იყვლია. მიხ. წერეთელმაც. მისი დასკვნა: “ კარგა ხანია დავრწმუნდი, რომ სუმერთა ენა მონათესავეა ქართული ენისა და სუმერთა ერთი გამონაყოფი ყოფილა იმ რასისა, რომელიც უძველეს დროს სახლობდა მცირე აზიაში, შუამდინარის (მესოპოტამია) ქვეყანაში, სომხეთში, შეიძლება კავკასიაში და სხვაგანაც.. სხვა მეცნიერებთან ერთად, მიხ. წერეთელმაც შეადარა ბოლაზ-ქოს ფირფიტებზე აღმოჩენილი არა ინდო-ევროპული ენები ქართულ ენას და აქაც ნახა ნათესაობა. სახელ-დობრ: პროტო-

ხეთურთან, პურულთან დამიტანულთან. ის დასძენს: „შესრულებული შეგი (და მხოლოდ ნიშნები, თუმცა თვალსაჩინო), კართველებთან აქვთ ინდო-ევროპულ ხალხებს მცირე აზიისა, ქართველებთან აქვთ ნათესაობა ენისა და რასისა – შორეული გენეტიური ნათესაობა „.

აღნიშნულ პურებზე, რომელთაც მიხ. შერეთელიცა და სხვებიც ქართველებს უნათესავებენ, უ. კონტენ სწერს: „ეს-ენი არიან უმთავრესად აზიანიკები, რომელთა ენაც ეკუთვნის პურის ენის ტიპს და ვხედავთ, რომ ეს ეთნიური ელემენტი გავრცელებული იყო ზაგროსიდან ხმელთაშია ზღვამდე და ფართოდ მოდებული ქანაანში„. თუმცა, ზოგი ელემენტები პურულ ენაში უდგება ინდო-ევროპულსაც, მაგრამ, – დასძენს კონტენი: „ესენი არიან მხოლოდ ცალკეული მსგავსებანი, უმთავრესში კი პურული უახლოვდება კავკასურს, როგორც ქართულ ენას„.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, კასკების ქართველი ტომი სწორედ ზაგროსიდან გამოჩნდა პირველად, საიდანაც მათზე ადრე გამოვიდნენ გუთები. გამოჩენილი ორიენტაციისტი პროჭხი კასიტებს ანუ კასკებს უნათესავებს ქართველებს, გუთებს კი, – უნათესავებს კასიტებს, ისევე, როგორც პურის უნათესავებს ურარტუს ხალხს და ხელავს შესაძლებლობას ქართველებთან ნათესაობისა.

გარდა ენობრივი ნათესაობისა, ამ უძველესი რასის ხალხთა შორის აღმოჩენილია ფიზიკური ტიპის მსგავსებაც, ერთობა მათი ადათ-ჩვეულებებისა, სარწმუნოებისა, ჩატმულობისა.

საერთო მტკიცებით, ეს ტიპი ეკუთვნის ბრაზილეფალთა რასას არწივისებური ცხვირით, რაც ახასიათებს ქართველებს. სხვადასხვა სამარხებში აღმოჩენილი სუმერთა თავის ქალები ამტკიცებენ მათ ნათესაობას კავკასიელებთან. ხეთურ ბარიელი ეფებზე გამოხატული ტიპებიც, ანტროპოლოგთა აზრით ეკუთვნიან ბრაზილეფალებთა ტიპს.

იგივე ითქმის ჩატმულობაზე: მაგ. ძველი ხეთელის ჩატმულობა: მამაკაცის ტანთ აცვია მოკლე მკლავიანი ქულაჯა, თავზე – მაღალიჩაკეცილი ქუდი, წელზედ აჩტყია სარტყელი და ზედ – დიდი ხანჯალი, ფეხთ მოსავს მოკაუჭებული, წვერიანი წილ-

ები. ეს ჩიცმულობა ზედმიწევნითი იგივეობით დამტკიცირდეს დღევანდელ საქართველოშიც და მას ეროვნულ ტრადიციელს ეძახიან. ანალოგიურ სურათს იძლევა ის ჩიცმულობა და ტიპი, რომელიც გამოხატულია საქართველოში აღმოჩენილ ვერტელის თასზე, რომელსაც მიაკუთვნებენ მეორე-მესამე ათასწლეულს ქ.წინ. თასზე გამოსახული მამაკაცები სწორედ ქულაჯებში არიან გამოწყობილნი. ეტყობა, მსგავსი ადათები და ჩიცმულობა ყველა მონათესავე ხალხებში ყოფილ გავრცელებული.

სუმერთა მეურნეობისა და სულიერი ცხოვრების ბევრი რამ იქმნა გამოკვლეული და ის მეტად ახლოს სდგას მოვლენებთან ქართველთა ცხოვრებისა და რომელთა კვალი აქამდე იყო შემონახული. მაგალითად, სამეურნეო იარაღები, მიწის დამუშავების წესები, ბინების შენების წესი და სტილი, მათი ფორმა.

სუმერებში დიდი ყოფილ ქალის სოციალური როლი. ის მამაკაცთან ერთად იღებდა მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიტანის მეფის ქალები, გაოთხოვილნი ეგვიპტის ფარაონებზე, ასეთსავე როლს თამაშობდნენ. ეს ჩვეულება სრულიად ეწინააღმდეგებოდა ჯერ სემიტთა და მერე მუსულმანურ წესებს. იგივე იყო ისტორიულად ქართველი ქალის როლი. ქამურაბის კანონმდებლობაში შენახულია კვალი სუმერთა ოჯახური ცხოვრების წესებისა, რაც ანალოგიურია და ბოლომდე იყო დაცული კავკასიაში.

ძველად, სუმერებში გავრცელებული ყოფილ ერთი ჩვეულება: დიდი გოლვის დროს სრულდებოდა ერთგვარი ცერემონია, რითაც ღმერთსა თუ ღმერთებს შესთხოვდნენ წვიმას, ხოლო ხშირი წვიმების დროს – კარგ დარს. ეს ჩვეულება და მსგავსი ცერემონიალი დარჩენილია დღევანდელ საქართველოში.

როგორც ქართველებში, ისე სუმერებში და მათ მონათესავე ხალხებში გავრცელებული იყო მნათობთა თაყვანისცემა. ხეთური ელვა-ჭექის ღმერთს ტარო-ს ქართულში მოეპოვება შესატყვისი ტაროსი, რაც ამინდს ნიშნავს, – ჰავდარს, ჰარს,



დარიანობას. ქართულ ანალებში დარჩენილია უხვადეგზუსული მცირე აზიის ღვთაებათა, რომელთაც ქართველები პლატონიკური მეტეც პატივს სცემდნენ. მაგ. გაცი, რაც უდრის ხეთის ღმერთს ატტის. გა უდრის იშტარს. აინინა — სუძერთ პანთეონში ცნობილ ინინას და სხვ.

მცხეთაში იყო აღმართული. კერპი არმაზი. რადგან გარეგნულად ეს სახელი აურამაზდას წააგავს, ამიტომ მასში ზოგი ზოროასტრის სარწმუნოების სიმბოლოს ხელავდა. ხოლო ქართული ტექსტებით იგი წარმოადგენდა ხეთისა და მიტანის ღმერთს თუშებს. იგივე ითქმის ქართულ ზადენზე, რაც იგივე ხეთური ზანდონია. აღნიშნული და სხვა მრავალი მაგალითებით მიხ. წერეთელი ამტკიცებს სარწმუნოებრივ ნათესაობას ქართველებისა ხეთების, სუმერების და შთი მოდგმის სხვა ხალხებთან.

აღბათ, ამავე რასას ეკუთვნებოდნენ ის ხალხები, რომელიც უძველესი დროიდანვე დასახლდნენ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზედ და პარალელურად მცირე აზია - მესოპოტამიასთან შექმნეს კრეტა-მიკენის კულტურა. გ. გლოცი კრეტის ადრინდელ მცხოვრებლებზე შემდგას დასკვნის : “ამგვარად, ფიზიკური ტიპი, ენა, ჩაცმულობა, ბინები და ყველას ერთად მივყავართ იმ დასკვნამდე. რომ კრეტის პირველი მცხოვრებნი, შექმნელნი ეგვის ცივილიზაციისა და აღმზრდელნი ბერძნებისა არ იყვნენ არც ინდო-ევროპელები და არც სემიტები”.

საბერძნეთის პელაზგებზეც ცოტა რამ ვიცით. ამას ზოლო ხანებში დაემატა პროზნის აღმოჩენები. ის ფაქტი, რომ ისინი არ არიან არც ინდო-ევროპელები, არც სემიტები და აგრედებე, ყველას აზრით, ისინიც მოსულნი არიან მცირე აზიიდან მოწმობს მათ აზიანიკობას. “ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, ბერძენთა წინა, კრეტის მცხოვრებთა, სჩანს, იყო წარმოშვებით პურიტულიო”, — სწერს პროზნი. და ამავე ულემენტს ხედავს ის ძველ ინდოეთში, ინდუსების მოსვლამდე.

კრეტის მთელი რიგი გეოგრაფიული სახელების ახსნაც შესაძლებელი ხდება ქართული ენის საშუალებით. ეს ხალხი აქ მოსულა ნეოლიტის განვითარების პერიოდში. და სწორედ საქა-

ქართველობი უკანასკნელად აღმოჩენილი ნეოლიტურული ძის ნივთები იძლევიან ანალოგიურ შეფასებას სირიაპალესტინასა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზედ აღმოჩენილი ნივთებისა.

კრეტელების მთავარი ღმერთი იყო დედა-მიწა, რის კულტიც ცნობილია საქართველოში და დღესაც მიწას დედა-მიწას ეძახიან.

ძლიერი ყოფილა კრეტაში ქალის კულტიც. თრიალეთში აღმოჩენილი ოქროს თასი არის ტყუპი უფრო აღრე აღმოჩენილი სუმერული ოქროს თასისა. აქვე აღმოჩენილი ქალის ოქროს თავსახურავი წააგავს კრეტის ქალღმერთის თავსახურავს და აგრეთვე - თავსახურავს ხეთის ქალღმერთის ბრინჯაოს ქანდაკებისა (ბერლინის მუზეუმი).

საერთოდ, თრიალეთში აღმოჩენილი ნივთები ამტკიცებენ მათ ნათესაობას. როგორც სტილით, ისე ფორმითა და მოტივებით, ძველი აღმოსავლეთისა და კრეტის ხელოვნებასთან.

ამ საკითხების გარშემო დიდი მასალად დაგროვილი მსოფლიო ლიტერატურაში, და საერთო დასკვნად ჯერ-ჯერობით უნდა მივიღოთ შემდეგი,

რომ ყველა საბუთები: ენათმეცნიერული, ანტროპოლოგიური, არქეოლოგიური, სარწმუნოებრივი და სხვ. ერთად აღებულნი, ერთხმად ამოწმებენ დასავლეთ აზიისა და ხმელთაშუა ზღვის ნაპირების ძველი მოსახლეობის ნათესაობას ქართველთა წინაპრებთან.

ალ. მანველიშვილი
სან-ფრანცისკო, 1990



მ ა მ ა ა რ ჩ ი ლ დ ა ვ რ ი შ ა შ ვ ი ლ ა მ ს ტ ი ც ი ს ტ ი ც ი ს ტ ი ც ი
მიერ მისი მღვდლად კურთხევის დღეს წარმოთქმული სიტყვა

მაღალ ყოვლადუსამღვდელოესო მეუფეო,
კვლავ წარვსდგები თქვენს წინაშე და თუ ორი წლის წინ
დიდი პატივი გვეცით და ინებეთ მობრძანება ჩვენს სამლო-
ცველოში რომ დიაკვნად მაკურთხოთ, დღეს, ჩვენ მოვედით
თქვენსკენ ამ ტაძარში, სადაც არის კათედრა იმ საეკლეს-
იო ხელისუფლებისა, რომელიც ანიჭებს ჩვენს სამრევლოს მის
კანონიკურ დადასტურებას; ამ საკათედრო ტაძარში ჩატარ-
და ბოლო სამოცდაათი წლის განმავლობაში მრავალი სხვად-
ასხვაგვარი მოვლენები, რომლებიც მას ხდის ჩვენთვის ძვირ-
ფასს, აქ ბევრმა ჩვენთაგანმა ჯვარი დაიწერა და ამით მა-
თი ცხოვრება დააგვირგვინეს ქარტინებით.

აქ, 25 მაისს 1931 წელს (დღეს კიდევ არიან ჩვენს შორ-
ის ამ მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმენი), შეიკრიბა პარიზ-
ის მაშინდელი ქართული საზოგადოება, ჩვენი პირველი მოძლ-
ვრის, – არქიმანდრიტ გრიგოლ უერაძის კურთხევაზე დასასწ-
რებლად. წელს შესრულდა მამა გრიგოლის დალუპვის 50 წლის-
თავი (ექვს დევემბერს 1947 წლისა, აუსვენცის ბანაკში).

აქ, ამ ადგილას, სადაც დღეს ვდგევარ, ესვენა 1924
წლის აჯანყების გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სასახლე. აქ
დაიტირეს იგი მისმა შეფიცულებმა. და აქედან გააცილეს სა-
ფლავამდე.

დღესაც ამ ტაძარში მოვედი ჩვენი სამრევლოს წევრებთ-
ან ერთად, რათა მიგილო თქვენგან მაღლი მღვდელობისა. აი,
რატომ არის პარიზის წმიდა სტეფანეს ტაძარი ძვირფასი ქა-
რთველთათვის და რატომ რჩებიან ისინი ერთგულნი მის მიმ-
ართ.

ორი წლის წინ, როდესაც პარიზის მართლმადიდებლურ ინ-
სტიტუტის ერთ-ერთს ჩემს პედაგოგს მამა ნიკოლოზ კულომზ-
ინს გავუზიარე ჩემი აღელვება დიაკვნად კურთხევის წინ, მან
მითხრა: – ნუ გეშინია, ნახავ, ეს პატარა სასწაულივითაა. მარ-



თლაც, ამ ორი წლის განმავლობაში ვიგრძენი როგორ უტარდების იდა და ალიძრა ჩემში ისეთი საშუალებები, შესაძლებლობები რომლის შესახებ ვერ კი გავიფიქრებდი. შევიტყე, რომ მართლაც სახარების სამსახურისათვის „საღმრთო მაღლი სულისა წმიდისა უბედურთ. ყოვლადვე მკურნალი და ნაკლულევანთა აღმაცესებელი“ იყო.

აი, რატომ არის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ული-ასება და ნაკლნი ჩემნი კარგად ვიცი, ჩემში სიხარული სჭარ-ბობს შიშჲე, — სიხარული შინაგანი და ძლიერი, რაღან დღეს, ბოლოსდაბოლოს ვასრულებ იმას, რისთვისაც მოგვიწოდებს ღმე-რთი, მადლობის შესწირვა მას, საღმრთო მსახურების აღსრულ-ება პირისპირ წინაშე მასთან, რათა შევევედროთ მას მისი ერისათვის და განსაკუთრებით — ამ გულთბილი და მღელვარე პარიზის ქართული მრევლისათვის, რომელიც მემკვიდრეა საქარ-თველოს უძველესი და შესავედრებელი ეკლესის, სადაც წმიდა სტეფანე პირველ მოწამის მაგალითს გაჰყვა უამრავი რიცხვი უდრეველ მოწამეთა, რომელთა ქრისტეს რწმენისათვის შესწი-რეს სიცოცხლე. შესწირეს ერთნაირი სიხარულითა და რწმენით, რა წარმოშობისაც არ უნდა ყოფილიყვნენ: არაბი, — როგორც აბო თბილელი, სპარსი, — ვითარც ევსტატი მცხოვრელი, სომეხი, — როგორც შუშანიკი, თუ ქართველი არჩილი, ლუარსაბი და ქეთ-ევანი.

და ეს, ამ ჩვენ უწყალობელ საუკუნემდე, რომლის ოციანი წლებიდან სისტემატიურად ისპობოდა ქართული ეკლესია: მისი მრევლით, მღვდლებით, დიაკვნებით, მონაზენებით, მისი ღირსე-ილი მღვდელმთავრებით, როგორც სავედრებელი კათალიკოსი ამბ-როსი, რომელიც გარდაიცვალა პატიმრობის ღროს განცდილი ტა-ნჯვების გამო, ანდა — ქუთასის მიტროპოლიტი ნაზარი, დახვრე-ტილი მის სამღვდელოებასთან ერთად...

ჩემი ცხოვრების ასეთ მნიშვნელოვან დღეს, არ შემიძლია არ გავიხსენო მამა თევდორე ჩიხლაძე, — ის ადამიანი, რომელს-აც პირადად ვიცნობდი და რომელიც მისი უდრეველობის გამო დახვრიტეს იმ ადამიანებმა; რომლებიც დღეს თავს ქრისტიანუ-ლი საქართველოს ბელაშვებად აცხადებენ...



ამ დროს, როდესაც თითქოსდა გაიმარჯვა საქართველოს მთავრობის მინისტრის და თვალმაჯუმბის ძალებში, ჩვენ, — ქრისტიან მორწმუნებს და განსაკუთრებით — ჩვენი, პარიზის ქართული სამრეფლოს წევრებს, ეკლესია თავმდაბლად, მაგრამ მტკიცებ გთხოვთ შევინარჩუნოთ ის განდი, რომელიც გვიანდებდეს ჩვენმა სახელმოვანმა წინაპრებმა, ჩვენმა მამებმა, დედებმა, პაპებმა და ღიღედებმა, რომელთაც სურდათ გაგვზარდონ სიწმინდისა და პატიოსნების პატივისცემასა და სიკვარულში.

ჩვენ გვაკისრია მათი საქმიანობის შეურყებლად გაგრძელება. ჩემი ასეთი განწყობა კიდევ უფრო ძლიერდება, რადგან ვგრძნობ, რომ მას იზიარებს როგორც ჩვენი სამრევლოს წევრები, ასევე მისი ახლობლები, რომლებიც დღეს შეიკრიბნენ აქ, რომ დაამტკიცონ იმ სულიერი და განსაკუთრებული აღთქმით; რომელიც დაგვაკავშირებს ამიერიდან რათა გავაგეძელოთ ღვთის მსახურება ჩვენი დაუგირწყარი სულიერი მამის დეკანოზი ილია მელიას სულისკვეთების კვალზე. რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნისათვის, — განსაცდელში მყოფი საქართველოსათვის და იქ მცხოვრები ჩვენი ნათესავებისათვის და მეგობრებისათვის; საფრანგეთისათვის, — იმ ქვეყნისათვის, რომელმაც მიიღო ჩვენი მშობლები და გვიშვილა ჩვენ; ქრისტეს ეკლესიისათვის, რომელიც აქ იმყოფება; მაგრამ, უპირველეს ყოვლისა — ჩვენთვის, რომ შევძლოთ გავაგრძელოთ ჩვენი არსებობა და სულიერი აღორძინება ქრისტესთვის იმ წესებისა და ჩვეულებების მიხედვით, რომლებითაც გავიზარდეთ.

აი რატომ, დღეს თქვენს წინაშე, მეუფეო, ფიც ვდებ, რომ სიყვარულითა და ერთგულებით, პატიოსნაც და უანგაროდ ვემსახურები ამ ძეირფას და უნიკალურ სამწყმესოს და ცეციები ვიყო მისი სინდისის გამომაფხიზლებელი, რომ არ დავაკლებ სიტყვასა კეშმარიტსა, რათა არ გადაუხვიოს იმ სწორი გზიდან, სადაც ყავდათ ჩაყენებული ჩვენს განსვენებულ მოძღვრებს: მამა გრიგორ ფერაძეს, მამა ნიკოლოზ საბახიძეს, მამა რობია მელიას და შემდეგ — მამა გაბრიელ ანრის.

ჩემი აღვლება კიდევ უფრო ძლიერდება, რადგანაც ვგრძნობ, თუ რა დიდი სიყვარულით მომამზადა და გამამხნევა ამ

დღიათვის ჩემმა სამრევლომ. ჩემი სურვილია, რომ არ ვარ უმაღური, რომ უსაზ-ფეროდ მადლობელი ვარ მათი მოთმინებისა და სიყვარულის-თვის და რომ მუდამ ყურადღებიანი ვიქწები მათ მიმართ და თავდადებული მათთვის; მინდა პირველ რიგში მადლობა მოვახსენო ჩვენი სამრევლოს გამგეობას, რომელიც, მისი წევრების სამსახურებრივი გადატვირთვისა და პირადი უბედურების მიუხედავად, უებარი წარმატებით განაგებენ ჩვენს სამრევლოს; მოვახსენო მადლობა ჩვენი სამრევლო კომიტეტის დაუზღავნებელ მანდილოსნებს, რომელთაც წილად ხვდათ არცოთ სახარბიელო, მაგრამ საჭირო საქმიანობა ამ დღის მომზადებაში; ჩვენს ტკბილ მგალობლებს და მათს ლოტბარს, რომელიც მღელვარებით ემზადებოდნენ ამ დღისათვის; და განსაკუთრებული გრძნობით კი, — იმ ორ ადამიანს, რომლებიც, მიუხედავად ასაკით მოგებული საკითხებისა, იტვირთავენ და შესაძლებელს ხდიან ჩვენს ეკლესიაში ღვთის მსახურების ჩეგულარულად ჩატარებას, — ჩვენს ერთგულ მედავითნეს ბატონ ნიკოლოზ მამულაშვილსა და ძალზედ თავდადებულს ქალბატონ ირინე ბაგრატიონს, რომელთა მაგალითს უნდა მივბაძოთ ყველამ.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო პარიზის წმიდა სერგის სახელობის მართლმადიდებლურ ინსტიტუტის პედაგოგებს, სტუდენტებსა და ჩემს მეგობრებს, პარიზის ბერძნულ სამრევლოს, რომლის სტუმრებიც ვართ დღეს, პირადად თქვენ, მეუფეო, იმ დიდი ყურადღებისათვის, რომელსაც იჩენთ ჩვენდამი; ჩემს სულიერ მოძღვარს, დეკანოზ ანდრია ფირილას; განსაკუთრებით კი — მას, რომელმაც, მისი მეობის უცვლელად შენარჩუნებასთან ერთად, მოახერხა; უცხო გარემოში მოსურმა, შეეგურს მას და შეაყვაროს ყველას თავი, ჩემს უფროს ძმას არქიმანდრიტ მეთოდიუს ალექსიუსს.

მადლობელი ვარ აგრეთვე ჩემი ოჯახის წევრების, მეგობრებისა და კალეგების მიმართ, რომლებიც დღეს აქ არიან. ყველას გთხოვთ, შევეძროთ ღმერთს, რათა ღირს ვიქმნე უბრალოებით წარდგმად წინაშე საკურთხეველსა მისია, ქადაგებად სახარებასა სუფევისა მისია, მითხობად სიტყვისა მისია



ქეშმარიტებისასა, შეწირვად ძღვენისასა და მსხვერიულობის სამართლისა და განახლებად ერისა მისისა საბანელსა შით მეორედ შობისათა, რათა მეც მიგიწოდ მეორედ მოსვლასა მას დიდისა დგომისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი... მხოლოდ შობილსა დესა, და მივიღო სასყიდელი ქეთილად განვებისა თვის წესისა მღვდელობისა თვისისათა სიმრავლითა, სახიერებითა მისითა. ამინ.

მამა არჩილ დავრიშაშვილი
პარიზი, წმ. სტეფანე პირველ-
მოწამის ხსენების დღე. 27 12 1992

* * * *

გმადლობთ, მეუფეო-

რადგან დღეს, თქვენი მფარველობის ქვეშ, ესეიგი მსოფლიო საპატიორქოს მფარველობის ქვეშ, დავწერეთ საფრანგეთში მყოფი მართლმადიდებლური ქართული სამრევლოს ისტორიის ახალი ფურცელი...

1929 წლის 29 აპრილს, ქართული მორწმუნე და პატრიოტი საზოგადოების თაოსნობით დაწებული საქმე დაგვირგვინდა მსოფლიო საპატიორქოს დასტურით. ამ ღღეს, მისმა ყოვლად უწმიდესმა, მსოფლიო პატრიარქმა ვასილ III-მ საგანგებო ეპისტოლეთი შესაძლებელი გახდა. საფრანგეთში ქართული ეკლესიის დამასტება.

მაგა არჩილის ხელთდასმა არის სწორედ ამ ეპისტოლეს, საკულტო საზოგადოების დაარსების აქტის და მსოფლიო პატრიარქიის მიერ სამრევლო წესდების დადასტურების მნიშვნელობის გამომხატველი ფაქტი.

ჩვენი სამრევლო ერთადეთი ქართული სამრევლოა საქართველოს ტერიტორიის გარეთ. ჩვენი ეკლესიის დაარსება მოხდა კანონიკური და იურიდიული წესების სასტიკი დაცვით, რაც განსაკუთრებით გამოიხატება მღვდელმთაგრის ტერიტორიული იურისდიქციის საკითხში, როგორც ეს განმარტა 1872 წლის 26 მარტის მინოპოლის კრებამ.

პარიზის მართლმადიდებლურ საზოგადოებას ემატება დღეს



კიდევ ერთი მოძღვარი. ჩვენ ბედნიერნი ვართ; რომ ჩვენი ეგლესის ისტორია განუშორებელია ჩვენი სამშობლოს ისტორიისგან.

აგრეთვე ბედნიერნი ვართ, რომ ერთ-ერთი ჩვენთაგანი აგრძელებს მამა გრიგოლის, მამა ნიკოლოზისა და მამა ილიას საქმეს, და სხვაგვარად წარმოადგენელია, რომ ყოფილიყოს. ჩვენ დღესაც ვუმადლით მათ იმ თავდადებისთვის, რომელმა თავდადებამაც მისცა დასაწყისი და განვითარება ამ სამრევლოს. ამ წირვის მსვლელობისას მე ვიგრძენი, რომ ისინი ახლაც ჩვენთან არიან. განსაკუთრებით – მამა ილია, რომელმაც ჩვენი სამრევლოს რამდენიმე თაობას ჩაუსახა და განუვითარა აწმუნა.

ეს კურთხევა არის ამ თავდადებული აღამიანებისაგან ჩვენამდე მოღწეული კურთხევა, ჩვენი სამრევლოს მოთმინებისა და სიმტკიცის კურთხევა. მამა ილია მელიას გარდაცვალების შემდეგ, ჩვენი სამრევლოს წინაშე დადგა მწვავე საკითხის საწორი, თუმცა ნორმალური და ჩვეულებვრივი, – მოგვეპოვებინა ჩვენს შორის ღვთის მსახურებისათვის მოწოდებული ღირსეული ადამიანები.

ჩვენი მღვდლის კურთხევა შეუძლებელი იქნებოდა პარიზის წმინდა ნინოს სამრევლოს თანხმობის გარეშე. ჩვენი მრევლი ერთგულია, მეუფე, თქვენს მიმართ და მსოფლიო საპატრიარქოს მიმართ. მამა არჩილის კურთხევა არის რწმენის გამარჯვება ეგოიზმზე და იმ სიხარულია აღსავსე აღამიანების გამარჯვება, რომლებიც ცოცხლობენ ჩვენი სამრევლოსთვის. სიცოცხლის ამ ძალას ჩვენ ვპოულობთ. ჩვენს ფესვებში და ჩვენი წყაროების სათავეებში. ჩვენი ფესვებით ვართ თანაზიარნი საქართველოს ეკლესიისა და ჩვენი წყაროებით შეგვიძლია შევქმნათ და განვაგითაროთ განსაკუთრებული კავშირი იმ ეკლესიასთან ზველა კანონიკური, წესების ტაცვით.

და თუ დღეს ასე ბედნიერნი ვართ, უნდა შევძლოთ ხვალ ღირსეულად ვუპასუხოთ ერ-ერთი ჩვენთაგანის თავდადებას, დავეხმაროთ მამა არჩილს მის საქმიანობაში, რამეთუ მწყემსის გარეშე გზააბნეულნი ვიქნებით.

მე მინდა მოგაგონოთ დღეს მამა გრიგოლის სიტყვები, რომ-

ლებითაც მიმართავდა იგი თავის მრევლს სამოცი წლის წინ, როდესაც უესდგა პირველი. წირვა ქართულ ენაზე პირველი მომავალი ჩვენი მრევლისა და ეკლესიისა თვითონული თქვენთაგანის ხელშია და ჩემი პირველი თხოვნაა თქვენდამი: დაგვეხმარეთ, რომ აქ, — უცხოეთში შევძლოთ ჩვენი საკუთარი სამლოცველოს, ჩვენი რელიგიური და კულტურული ცენტრის შექმნა... იესო ქრისტეს სახელით იქმნა ჩვენი დასაწყისა, — მან უპატრიონა ჩვენს ერს, დაიფარა იგი მრავალი განსაკლილობასაც მისი მაღლითა, წყალობითა და კაცომუყვარეობით სუნთქვას ჩვენი ერი და ეკლესია. და მის მაღლ წყალობასა და კაცომუყვარეობას, ბატონებო, უნდა შევავედროთ, ჩვენს მიერ დაწყებული საქმე „როგორ გულლიადაც წარსდგნენ ჩვენი წინაპრები მამა გრიგორისა და სხვა ჩვენი მოძღვრების წინაშე, ისევე ლია გულით შევეგბოთ მამა არჩილს.“

მეუფეო, ოთხი წლის განმავლობაში კეთილი ინებეთ და ჩვენს განკარგულებაში ჩააყენეთ თქვენი სამღვდელოების საუკეთესო წარმომადგენები. გვსურს მთვლი გულით მაღლობა გადაგიხადოთ ამისათვის. გვინდა ასევე გულწრფელი მაღლობა გადავუხადოთ მამა მეთოდიოსს, რომელმაც გვიშვილა და რომელიც ვიშვილეთ.

გწამდეთ, მამაო მეთოდიოს, რომ მუდამ ვიქნებით თქვენთან ერთად და თქვენთვის მლოცველნი. კიდე და კიდევ გმაღლობთ, მეუფეო, თქვენი ზრუნვისთვის ჩვენდამი. გმაღლობთ, მეუფეო, რომ ამ დროში, როდესაც ნამეტან ხშირად სიძულვილი და მღელვარება ეცილება სისახაგლეს, თქვენ მოგვეცით დღეს საშუალება ვეზიაროთ ასეთი სიმშვენიერით და სიმშვიდით აღსავს წუთებს.

ამ, მაღლით აღსავს წუთებში, საზეიმოდ მინდა, მამაო არჩილ, გამოვთქვა თქვენი შრევლის მაღლიერება თქვენს და თქვენი ოჯახის მიმართ თქვენი გაღაწყვეტილებისა გამო. დღეს ასე მრავალრიცხოვნად შეკრებილი თქვენი მრევლი გიცხადებთ მხარდაჭერას და გელით სიხარულითა და მოთმინებით.

**მიხეილ გოგიტიძე – ვალე
პარიზის წმ. ნინოს ეკლესიის მნათე.**

წმინდა ნინოს დღესასწაული თბილისის შეკვეთისას

თუ მნიშვნელოვანია მისი მფარველი წმინდანის დღესასწაულის გადახდა ყველასათვის, მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ, — ქართველმა ემიგრანტებმა და მათმა შთამომავლობამ ვიდლესასწაულოთ და გავიხსენოთ ის ახალგაზრდა კაპადოკიელი ტყვე ქალი, რომელმაც მიანიჭა ჩვენი წინაპერის ქვეყანას ქრისტეს სახარების თავისუფლება.

არათუ იარაღით, არც პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ფსევდო-კომერციული მიხვეულ-მოხვეული გამოანგარიშებებით მიაღწია მან ჩვენს წყვდიადისგან განთავისუფლებას და ქართულს მიწაში ღრმად ჩანერგა თვისი ჯვარი ვაზისა, — სიმბოლო სიცოცხლისა და გამძლეობისა. მან, თვისი ყოფა-ცხოვრების უბრალოებით, თავმდაბლობით, წმინდა ლოცვით, სიყვარულითა და უანგარო თავდადებით მოყვასისადმი, მიიქცია ჯერ მცხეთის მცვიდრთა, შემდეგ კი, — ნანა დედოფლისა და შირიან მეფის ყურადღება; ამით მიიცვანა ისინი მოქცევამდე და მაც კვალზე — ყველა, ვისაცკი უცხოვრია ქართულს მიწაზედ: მეფენი და დედოფალნი, თავადნი, ვაჭარნი თუ მიწათმოქმედნი, ძველი წარმოშობით ქართველნი თუ ახლად დამკვიდრებულნი... ბეგრძა მათგანმა სისხლი დაღვარა მისთვის, რათა გვქონდეს ჩვენ საშუალება ვეზიაროთ ქრისტეს სახარების წმიდა და ხელშეუხებელ დედაარსს.

ამ ტრალიკულსა და ბნელს ჩვენი სამშობლოსთვის საუკუნეში, მოვლენებმა, რომელთაც, 1921 წლიდან მოყოლებული, სულიერ ბურუსში ჩააგდეს ჩვენ თანამემამულეთა უმრავლესობა, რომელიც ვეღარ არჩევს ერთმანეთისგან ჭეშმარიტსა და ცრუს, ლამაზსა და მხიჯს, დეთილსა და ბოროტს, უნდა შევეველროთ ჩვენს დედას წმინდა ნინოს ქართველთა განმანათლებელს, რათა დაუბრუნოს ის ქვეყანა; რომელიც მიანდო მას ღვთისმშობელმა, იმ არსებით ჭეშმარიტებას, რომელიც გამოწმულია ცხრა ნეტარებაში და ათს მცნებაში.

ჩვენ კი, ქართველი ემიგრანტნი და ჩამოშავალნი მათნი, რომელნიც, ჩვენი სამრევლოს დასასებიდან შივენდეთ წმიდა ნინოს მფარველბას, და რომელთაც გულში ჩავიდეთ ჩვენი



მამებისაგან დამოუკიდებელი საქართველოს მოგონებები; ჩატარებისაც პირადად გვახსოვს არა ერთი მინისტრი, პროლეტერისტები თუ საზოგადო მოღვაწე ის ბეჭნიერი დროისა; ჩვენ, მათ მცდელობრეთ და პირდაპირ ჩამომავალთ, არ გვაქვს არავითარი უფლება დავტოვოთ ჩვენი ქვეყანა გზააბნეული, გაუბრალოებული და გამარჯვებული მოყიუინე სიბოროტის, კრიმინალობის და სიძულვილის ჩიხში მოქმედები.

უნდა მოვითხოვოთ, რომ ადამიანის და მისი უფლებების სიყვარულისა და პატივისცემის საფუძველზე; ისე, როგორც გვასწავლის ამას სახარებაც, შეიქმნას ის დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო, რომლისთვისაც დაიღვარა ასე უხვად ქართული სისხლი და რომელსაც ასე შენატრის ჩვენ. ხალკი.

ყველა ლონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ჩვენმა სათვისტომომ დაიბრუნოს მისი ერთიანობა, რომ მთელი მისი ძალით გაისმას ჩვენი სასოწარკვეთილება, რათა გახდეს იგი მოქმედი. ამიტომ მოგიწოდებთ, რათა რაც შეიძლება ტრირად შევხვდეთ ერთმანეთს ამ სამლოცველდჲში, სადაც ულოციათ, უგალიბიათ და ეზიარებოდნენ ის ღირსებითა და თავდადებით აღსავსე ადამიანები, რომლებიც რჩებიან ჩვენთვის ქართველი ქალისა და ქირთველი კაცის მაგალითად და ნიმუშად.

ჩვენი დედის; – წმინდა ნინოს ლოცვამ და მფარველობამ გაცძლიეროს ჩვენი ძვირფასი სამრევლო, განაპირობა ის გაუგებრობები, რომლებიც გვჰიშავს ზოგიერთი ჩვენთაგანისაგან და გაგვაერთიანოს. ერთგულნი და ჭრიშმარიტად მონდომებულნი ჩვენი ქვეყნის, მართლმადიდებლობის და ჩვენი სამრევლოს საკეთილდღეოდ.

* * *

ვ ა ნ ა შ ვ . ი დ ი 1921 წ. დ ა ღ უ პ უ ლ თ ა თ ვ . ი ს

როგორც ყოველ წელს, რაც არსებობს ქართული ემიგრაცია, ამ დღეს ვიკრიბებით, რათა ვილოცოთ იმ ახალგაზრდა მამულიშვილთათვის, რომელნიც დაეცნენ სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის 1921 წლის ოქტომბერვალ-მარტში, შემოსევის დროს.

დღეს კიდევ უფრო გამართლებული და სწორი ჩანს იმ



ყმაშვილების უიმედო ბრძოლა. დღეს ჩვენს თაობას სამოცდა ათი წლის სასტიკი, საზორელი და არააღმიანური ხელისუფლების მართვის სრული სურათი.

ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების სისტემატურად უღერძი, მათი შვილებისა და შვილაშვილების საგანგებოდ ჩამოყალიბება - აღზრდამ შავბნელი იდეალების აღზევებამ და მრავლება. სხვა სიმახინჯემ ახლა გამოილო მისი ნაყოფი. ნეტი ხსენებული კათალიკოს ამბროსის მიმართვა გენუის კონფერენციისადმი, დღეს აშკარად და მწარედ უღერს, ვითარცა ნათელმხილველი მწყემსმთავრის ბრძნული წინასწარ განკვრეთა. და იუ ბოლშევიკური რევილის შედევგბის ბატერიალური მხარე აღვილი დასანახავია, ძნელად თუ წარმოვიდგენთ აქ, ემიგრაცია-ჩვენი ხალხის სულიერი და კულტურული დამახინჯებისთვის წარმოებულ სისტემატურ ჯოჯოხეთურ საქმიანობას. მაგრამ, შედეგი ამ ბუშაობისა, საუბედუროდ, ახლა რეალურია...

მიუხედავად იმისა, რომ დღეს, საქართველოზე დამოუკიდებლობის სამფერი დროშა ფრიალებს, ჩვენი სამშობლო მაინც ბოლშევიკების ბრჭყალებში იმყოფება. დღეს დამოუკიდებელ საქართველოს მართავენ ისევ ისინი, ვინც დამოუკიდებლობის დაკარგვის შავ დღეს ორგორც ეროვნულ დღესასწაულს, ისე ზეიმობდნენ მთელი ვათი სიცოცხლე-ი იგივე მეთოდებით, იგივე მაფიაზე დაყრდნობით, ისინი მართავენ, ანდა - ცდილობენ, რომ მართონ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა, როგორც მართავდნენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. ჩვენი სამშობლო, მათს ხელში ჩავარდნილი, დღესაც ვერ აღწევს თავს იმ ტრაგიკული მდგომარეობიდან, რომელშიც ჩაიგდეს იგი ბოლშევიკებმა 1921 წლის თებერვალში.

ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოსთვის ამ ავ-ბედით ხანაში, გვმართებს უდიდესი სულიერი სიძლეებე და პასუხისმგებლობა. ამიტომ, დღეს კიდევ ერთხულ მოგიწოდებულ ერთობისაკენ, რათა ურთად ვლოცოთ ჩვენი განსაცდელში ჩავარდნილი სამშობლოსთვის და რათა ლოცვით გაძლიერებულებმა, შევძლოთ ვიპოვნოთ ის გზები, რომელი გზებითაც სამშვილობოს გამოაღწევს

უიმედო და გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ჩვენი მაშტაცებელი
შევევედროთ უფალს, რათა ყველა ქართველი ჭმინალის
მეოხებით, — წმინდა დედითა ჩვენითა ნინოთი ღაშუებული და
წმინდა ილია მართლით დამთავრებული, შეიწყალს მან სას-
ოშარქვეთილებაში მყოფი ქართველი ხალხი, რათა ნუგეშინი-
სცეს მათ და რათა მიიღოს წიაღსა შინა აძრაამ, ისაც და
იაკობისთა, სადაც არაა მწუხარება, არცა სულთემა, არცა
ურვა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებული-
ის ყმაშვილები, რომლებმაც 1921 წლის ბრძოლაში, მაგალით-
ად ტაბახმელაში, სიცოცხლე შესწირეს სამშობლოსა და სარწ-
მუნოებისათვის და მათთვის ერთად, რა თქმა უნდა, იმ უამრავ
მამულიშვილს, რომელნიც გაცყვნენ მათ კვალს სახელოვან სკ-
ვდილში.

მამა არჩილ დავრიშაშვილი
21 ოქტომბერი, 1993 წ.

* * *

პ რ ო კ ო ფ ი ნ წ კ ი რ ვ ე ლ ი ს ა ს ი
წ ლ ი ს თ ა ვ ი

წარსულ თვის მარტში ერთ-ერთ ჩვენს პარიზის ქართველ
სათვისტომოს წევრს, ბატონ პროკოფ ინწყირველს შეუსრულ-
და 100 წელიწადი. შისმა გერმა ცნობილმა ქალბატონმა დინა-
ვერნიმ თავის დიდ მამულში ქალაქ რამბუესთან ახლოს, რამ-
დენიმე ქართველ სათვისტომოს წევრების თან დასწრებით თა-
ვის მამამთილს გადაუხადა ეს აღსანიშნავი დღესასწაული. და-
პატიუებულ დამსწრეთა ქართველ სტუმრებში თავი გამოიჩინა,
მეორე 100წლიანმა თანამემამულემ, ბატონ აპოლონ ანთაძემ.
რომელიც 1993 წლის მარტში საფრანგეთის მთავრობის მიერ
დაჯილდოვებული გახლდათ (ლეჟიონ დონორით) როგორც დელი
სამხედრო მეომარი პირველი მსოფლიო ომის დროს. აუც საფ-
რანგეთის ოფიციალურ უურნალში გამოქვეყნებული იყო. მკით-
ხველს უნდა შევახსენოთ, რომ ამ დროს საფრანგეთი და მე-
ფის რუსეთი მოკავშირენი იყვნენ.



ამ არივე ას წლიანი პიროვნების შეხვედრა შინაურულ გულ-
თბილ ზეიმის დროს ფრიად სასიამოვნო იყო. ბატონ აპოლონმა
მისალოცი სიტყვით მიმართა თავის გურულ მეგობარს და უსურ-
ვა კიდევ ხანგრძლივი ჯანმრთელობა.

მისალოცი სიტყვით ბატონ პროკოფს და აპოლონს მიმართა
ჰარიზის ქართველ სათვისტომოს იაგმჯდომარებ ლია ვოდემ -
გოვიტიძემ. ეს ასი წლი თავის ზეიმი ფრიად სასიამოვნოთ ჩატ-
არდა. ბატონ პროკოფს მოუხდა თავის სადღესასწაულო ნამცხვა-
რზე სანთლების ჩაქრობა ჩაშიც მას ბატონი აპოლონიც დაეხ-
მარა. სალამოც მოაღწია და ყველა თანდამსწრე სტუმრები დი-
დათ ნასიამოვნები ღავტრუნდით პარიზში.

რეზო გოგიტიძე - ვოდე

გივი კობახიძე გივი კობახიძე

ქრონიკები ახლო წარსულიდან
(გაგრძელება. წინა ნომერში ავტორის გვარის მითითება რედაქტ-
ციას გამორჩა)

ერთ დღეს, არქიმანდრიტთან (არქ, ლავრენტი მეტრეველი. რედ.)
მისულა ორი მილიციელი და უთქვამთ, – დაპატიმრებული ხართ
და უნდა წამოხვიდეთ ჩაითვის ცენტრშით. „ჩისთვის გარ დაპ-
ატიმრებულიონ“ – უკითხავს ლავრენტის. ჩისთვის და, ღალატი გვ-
დებათ ბრალად, ხალხის მტრობა და ტროცისტობათ. „გინაა ეგ
ტროცი, ასეთი მოციქული მე არ მსმენია... ბევრი არ ალაპ-
არაკეს, როგორც იყო ჩაცმული, ისე გაიგდეს წინ და ხელის კვ-
რით წამოიყვანეს. მოხუცი ხშირად ეცემოდა, მუხლები დაუსი-
სხლიანდა, მერე – ხელებიცა და სახეცა.

სოფლამდე სამი კილომეტრი იყო, საშინლად ხრიოკი გზა,
ისეთი. აღმართებით, რომ ახალგაზრდა კაცსაც გაუჭირდებოდა
სიარული, მოხუცს კი არა. მილიციელებიც თფლში იყვნენ გაწ-
ურულნი. მოხუცი დაეცა და ვეღარ ადგა. მილიციელებს, რომე-
ლთაც ნაბრძანები ჰქონდათ მოხუცის ადგილზე ცოცხლად მიუვ-
ანა, შეეშინდათ, – არ მოკვდესო, ამიტომ იქვე გამოჭრეს გზისპ-
ირა ტყეში წნელი, გააკეთეს ჯალავერი (საკაცე) და მასზე და-
აწვინეს. დავრდომილი მოხუცი. სოფლამდე ასე აიყვანეს. გზა
რომ გათავდა, წამლაგდეს და კვლავ ფეხით გაიგდეს წინ რო-
ლსა და სისხლში ამოსეგრილი არქიმანდრიტი. სოფლად ხალხს
უკვე შეეტყო ეს ამბავი და, გზაზედ გამოსულნი, უმთავრესად
ქალები და მოხუცები, მუხლზედ დაჩინჭილნი ეთხოვებოდნენ მას.
“რაღა გვეშველება, ვინ ილოცებს ჩვეოვის, ვინ შეგვეწევა, ვინ
დაგვინათლავს ბაცშვებს, ვინ. დაგვლოცავსო...”

არქიმანდრიტს მაგრაც ეკავა თავი: – სამარიდანაც თქვენთ-
ვის ვილოცებ, კვლავაც ავმაღლდებით, უფალი იესო ქრისტე შე-
გეწევათ, ნუ შეშინდებით, თავს გააძლებინეთ, არ წახდეთო, ეუბ-
ნებოდა იგი ხალხს.

ჩაითვის ცენტრამდე – ამბროლაურამდე კიდევ ოთხი კილომ-
ეტრი იყო დარჩენილი. როგორც იქნა, მიიყვანეს იგი ადგილზე
და იქიდან საბარეკო ავტოთი ქუთაისში ჩაიყვანეს. იქ ოთხ თვეს

*** არამეტებული ციფრული განვითარების შეზღუდვები და მიზანები ***

ჰყავდათ საპატიომროში. მოპარსეს ნახევარი წვერი არ მოიწოდებოდა – ულვაში და თმა, აფურთხებდნენ, დასცინოდნენ, სცემდნენ, იატაკზე ათრევდნენ, აშიმშილებდნენ. მაინც ვერ დიკოლიეს ხელი მოეწერა საბრალდებულო აქტზე, რაც სრულ სიყალბეს შეიცავდა. ბოლოს თოთქოს გაასამართლეს და გამოუტანეს განაჩენე: ოცდა ხუთი წლით პატიომრობა. როდესაც ჰყითხეს, – რას ერყვით საბოლოოდ სასამართლოს, მან ირონიული ღიმილით უპასუხა: „ვმადლობ ჩემს მოწყალე ღმერთს, რომ სამოცდა თხუთმეტი წელი მაცოცხლა. გმადლობთ თქვენც, ბოლშევიკებო, რომ სიცოცხლე ას წლამდე გამიგრძელეთო....“ მოსამართლებს და ირგვლივ მყოფ უცბად გასცინებიათ, მაგრამ, წამსვე სერიოზული სახე მიუღიათ, და ლავრენტი სამჭრაფოდ საკანში შეუგდიათ. იგი გარდაიცვალა 1938 წლის იანვარში.

პარტიულები და „კომსომოლები“, როგორც კი შეუტყვიათ არქიმანდრიტის დაჭერის ამბავი, ჩასულან ჭელისში და გაუძარს ცვიათ მისი ბინა. ვიღაცას უთქვამს, – ბერს წიგნების მაგარ ყდებში იქრო აქვსო. ჩამალული. ამათაც წიგნების ყდები აუხევიათ და წაუღიათ. 1938 წ. ზაფხულში არდადეგებზე, ჩავედი ჭელიშში და ვნახე სრულიად გაპარტახებული მისი ორთახიანი სახლი, რომელიც „კოლხოზისტვის“, გადაუციათ სოფელში. ეზოში მიმობნეული წიგნები და დოკუმენტები, რომელთაც ზამთარს გაუძლეს, მოვაგროვე და წავიღე შინ, რათა სამხარეთმცოდნეო მუზეუმისათვის გადამეცა.

* * *

ჩემი ზემო-იმერელი მეგობრებისგან მაქვს გაგონილი, რომ მეცამეტე საუკუნის ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტი ღიმიტრიც, იმაგე 1937 წელს, შემოდგომაზე დაუპატიომრებიათ, როგორც „ტროცკისტი“. და ისიც ქუთაისის ციხეში დაღუპულა რამდენიმე თვის განმავლობაში ტანჯვა-წამების შემდეგ. ისიც ხალხის მფარველი, დამხმარე, მომნათვლელი ყოფილი. სამჭუხაროდ, მასზე მეტი არაფერი ვიყი. ჯრუჭის დიდებული ტაძარი კი, საფუძვლად დაუნგრევია უკანასკნელი დროის მიწისძვრას. ნუთუ ესეც ღვთის წყრომა და სასჯელი. იყო?



რ ა მ ს მ ე ნ ი ა პ ე ტ რ ე დ ი დ ი ს ჟ ე ს ა წ ე ტ გ
ჩ ე მ ი ს ტ უ დ ე ნ ტ რ ი ბ ი ს პ ე რ ი ლ შ ი (1936-1937) თ ბ ი ლ ი ს შ ი

საქმაოდ ინფორმირებული და გავლენიანი ჭრებიდან გამოვიდა ხმა, რომ დიდმა მეცნიერმა, ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა ლენინგრადის არქივებში მუშაობის დროს აღმოაჩინა დოკუმენტები, რომელნიც მიუთითებდნენ რუსეთის იმპერატორის პეტრე დიდის ნამდვილ შთამომავლობაზე მამის მხრივ; რომ მისი ბუნებრივი მამა იყო ერეკლებატონიშვილი-ბაგრატიონი, ცარევიჩ ნიკოლაი დავიდოვიჩის სახელით ცნობილი რუსეთის მეფის კარზე, სადაც იგი ბაგშვიბიდან იზრდებოდა და პეტრე ახლო ურთიერთობა მეფის ოჯახთან, — ინდენად დაახლოებული, რომ უკვე მომწიფებულსა და დავაუკაცებულს, მხოლოდ მას პეტრე უფლება მარტო შესულიყო დედოფალ ნატალია ნარიშვინას საწოლ ოთახში. ამან წარმოშვა ეჭვი, რომ მომავალი იმპერატორი პეტრე იყო ბუნებრივი შვილი ერეკლებაგრატიონისა. როცა პეტრე წამოიზარდა, ძალზე დამსგავსებიდ „ცარევიჩ ნიკოლაი დავიდოვიჩის..“ ამან კი, აღრეც არსებული ეჭვები გააძლიერა და საქმე იქამდე მიგიდა, რომ მას მეფის კარზე აღარ დაედომებოდა და იძულებული შეიქნა რუსეთი დაეტოვებინა, დაბრუნებულიყო საქართველოში და იქიდან სპარსეთის შაპის კარზე მისულიყო. შემდეგში იგი შეფობდა ქართლში ერეკლებირველის ცახელით, იყო მამა თეიმურაზ მეორისა და ერეკლების მეორის.

ივანე ჯავახიშვილს აღმოუჩენია დედოფალი ნატალიას თექვსმეტი წერილი „გრუზინსკი ცარევიჩ ნიკოლაი დავიდოვიჩისადმი, რომელია წაკითხვა და გაანალიზება ეჭვს აღარ სტოვებდა, თუ ვინ იყო პეტრე დიდის ნამდვილი, ხორციელი მამა.“

ერთ-ერთ წერილში, ჯერ კიდევ რუსეთში მყოფ ქართველ „ცარევიჩის“, (სამსახურებრივი დავალების გამო შორს მცხოვრებს) დედოფალი ნატალია ეკითხება — „შემეძინა ვაჟი და რა გსურს, რომ დავარქვა სახელადო..“ დედოფლის სხვა წერილებშიც ბევრია დამადასტურებელი ცნობები.

ივანე ჯავახიშვილს გადმოუწერია დედოფლის წერილები, მა-




გრამ, მათი დაბეჭდვა ვერ გაბედა სტალინის დაუკრძალვის შედეგი
ითხოვა მასთან შეხვედრა. სტალინმა მაშინვე მიძღვნილი იყო
ილი მეცნიერი, ჯავახიშვილმა აჩვენა მას წერილები და სიტ-
კუიერად განუმარტა ყველაფერი პეტრეს ნამდვილი, ხორციელი
მამის თაობაზე. სტალინი ძალიან დაინტერესებულა, მაგრამ, ძა-
ლიანაც შემკრთალი და ჯავახიშვილისთვის უთქვამს: — ძალიან
გთხოვთ, ჩემს სიცოცხლეში ამ წერილებს ნუ გამოაქვეყნებთ.
რუსებს ძალიან ეწყინებათ, ისედაც ძლივს მოტანენ, ყელში ყვ-
ავარ გაჩერილი და, ახლა კიდევ ამას რომ გაიგებენ, სულ
გადაირევიან. ჩემი სიკვდილის შემდეგ კი, რაც გსურთ, ის
გააკეთეთო. ისე კი, თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, მე სულაც
არ გამოვაქვეყნებდი მაგ წერილებს... არ ლირს რუსების გა-
ღიზიანება, დიდი ხალხია და იუკადრისებენ...

გამოირკვა სხვა ჩამეც: თურმე, ეს წერილები და სხვა
უხვი დოკუმენტები, ჯავახიშვილიმდე უპოვნია ვილაც რუს გე-
ნერალს. დაუმუშავებია მთვლი ეს მასალა და ოთხას გვერდი-
ან წიგნად დაუბეჭდია, რადგან ამაში ის არაფერს ცუდია და
დასამალევს ვერ ხედავდა, — ასეთი რამ სხვა ქვეყნებშიც მომ-
ხდარა და თვით რუსეთშიც, რომლის მმართველები არარუსები
ბევრი ახსოვს ისტორიას.

წიგნი მრავალ ტირაჟიანი ყოფილა, მაგრამ ხელისუფლებ-
ლებას ტირაჟი მთლიანად გაუნადგურებია, გარდა სამი ეგზე-
მპლარისა, რომელიც რაღაც სასწაულით გადარჩენილა და დედ-
ოფლის წერილებთან ერთად ყოფილა საგანგებოდ დაცული. და-
სა: მიაკვლია სწორედ ივ. ჯავახიშვილმა...

ეს ამბავი, თბილისში გაგონილი, უამბე მე გაიოზ მალლა-
კელიძეს მიუნდენში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მას, როგ-
ორც გამოირკვა, ჩაუწერია ეს ამბავი, შეუვსია სხვა ცნობებ-
ითა და თავისი ფანტაზიებით და გამოუქვეყნებია ერთ-ერთ
ცნობილ გერმანულ უურნალში, რომლიდანაც ამონაჭერი მეც გა-
მომიგზადნა ამერიკაში, მაგრამ ვერ მივაკვლე. სადღაც კი მა-
ქვეს....



ქართული სახელმწიფო მანქანის მექანიკოსს ბ-ნ სიურულებული მინისტრის მიერ დაგენერირებული სამსახურის მინისტრის მიერ დაგენერირებული საქმეს.

ბატონი სიურულებული მინისტრი, ამ მანქანისთან ერთად, დაუფასებელი სამსახური გაუწიეთ ჩვენი გამოცემის საქმეს. თუ ადამიანები არა, ღმერთი დაგიფასებთ.

გუშაგი

* * *

“რადიო თავისუფლება”

ზ. გ ა მ ს ა ნ უ რ დ ი ა – მ. გ ო რ ბ ა ჩ ე ვ ი
(ნაწყვეტი დიალოგიდან)

რადიო “თავისუფლების” საიუბილეო დევიზია “ეროვნული შერიგება, რაც არ უნდა დაჯდეს!”, ამასთან დაკავშირებით, გვა- გონდება ჩვენი განვლილი ორმოცი წლის მოღვაწეობის დევიზი: “ერისა და პიროვნების თავისუფლება”, რაც განხორციელების გზას დაადგა, როცა **1991** წლის **9** აპრილს ისევ იქნა აღდგენილი **1918** წლის **26** მაისის დიადი იდეები – გამოცხადებულ იქნა საქართველოს სახელმწიფო გრიგორი დამოუკიდებლობისა და უც- ერენობის აღდგნა **1918** წლის **26**, მაისის საქართველოს დამოუ- კიდებლობის აქტის შესაბამისად.

მაგრამ რა – ახლა თავი იჩინა საშინაო უთანხმოებამ, რომ- ლის სამარცვინ თარიღია **1991-1992** წლების მიჯნა, როცა ქარ- თვეებმა ერთმანეთის წინააღმდეგ იარაღიც კი გამოვიყენეთ, რის შედეგადაც დანგრა არა მარტო ჩვენი დედაქალაქის, – თბი- ლისის გული – რუსთაველის გამზირი, არამედ, დაინგრა ჩვენი ეროვნული ერთიანობაც. ამას ემატება კიდევ ისიც, რომ დიდმა- კრობელი შოვინისტები, როგორც ყოველთვის, დღესაც ცტრლობენ ყოველი ხერხით, რომ საქართველო, ჭიროველი ერი კვლავ მოაქ- ციონ კრემლის ბატონობის ქვეშ.

ამის მაგალითად შეგიძლია მოვიყვანოთ ტელედონით გასა- უბრება გორბაჩევსა და გამსახურდის შორის, რომელიც გამოა-

შევყნა გერმანიის დიდმა და კარგად ინფორმირებულშემცველ
აღმა „შპიგელმა“. აი, ამ გასაუბრების ტექსტი:

გორბაჩევი : — და თქვენ არ გსურთ ხელი მოაწეროთ სა-
მოკავშირეო ხელშეკრულებას?

გამსახურდია : — ეს არის არა ჩემი, არამედ ჩემი ხალ-
ხის პოზიცია!

გორბაჩევი : — იცით რომ აფხაზებს და ოსებს სამოკავ-
შირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და საკავშირო რეფერ-
ენდუმში მონაწილეობა სურა?

გამსახურდია : — ისინი სულ 140 ათასი սდამიანია, საქ-
ართველოში კი ხუთ მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს.

გორბაჩევი (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ) : — კარგად მოი-
ფიქრეთ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის საკითხი.

გამსახურდია : — ეს საკითხი ჩემთვისარ არსებობს!

გორბაჩევი : — მაშინ, თქვენ დადი სიძნელეები მოგელით
სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში...

მიუხედავად იმისა, რომ გამსახურდია შეცვალა „უკვარდ-
ნაძემ, დიდმცყრობელური“ შოვინისტები მაინც ვანაგრძობენ
„გათიშე და იბატონეს“, პრინციპით მოქმედებას, იყენებენ რა
ამისათვის ამჯერად აფხაზ ეჭისტებისტებს. ამიტომ არის ჩვე-
ნი დევიზი: „უროვნული შერიგება, ეროვნული მორიგება, ეროვ-
ნული ერთობა რადაც არ უნდა დაჯდეს, 1918 წლის 26 მაი-
სის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე“.

„რადიო თავისუფლება“

25. 03. 1993 წ.

მოამზადა სპარტაკ უვანიამ

* * * * *

ქ. რის ტელორეი იმაი შვილის მოგონებები
(გაგრძელება)

... ხელად მიმიკუანეს ლანჩხუთის რევოლუციის ბინაზე. იქ
კადევ დამიხვდა ოთხი ჩვენი. ამხანაგი დატუსაღებული. შემო-
ვიდა ჩემთან ცეკის შევრი პარმენ ცინცაძე და მეუბნება:



— დაგმე შენი წარსული და უარყავი შენი მენშევიკობრივი ახლავე გაგანთავისუფლებო. ამაზე კი მაგრად უპატრი, ერთი, რომ მე ჩემს წარსულს არ დავგმობ და შეორც — მე მენშევიკი არა ვარ, მე ვეკუთვნი საქ. ს.დ.მ. პარტიას-თვედა...

რომ ცინცაძემ ჩემგან ვერაფერი მიიღო, წავიდა. მეორე დღეს ნაშუადღევს, გაძლიერებული დაცვით გაგვაგზავნეს ჯუმათის გზით ოზურგეთისკენ. გზაში დედაჩემი დამეწია და შემოძახა საცოდავმა: — შვილ, მაგრად იყავი, არ შეუშინდე ამ ჯალაოებს. მეორე დღეს, როგორც ვადმომცეს, დედაჩემი დაეჭირათ და სამი დღე ყოლიათ დატუსალებული.

როგორც ჩავედით ოზურგეთში, მეორე დღეს დილით გამომიძახეს სამძრო ჩეკაში. შემიყვანეს ერთ მიყრუბებულ ოთახში. გამოვიდა ერთი ლაშირაკი, რომელსაც შევხდი ლანჩხუთში შეპყრობის დღეს, — ცხენზე იყო შემჯდარი წითელარმიელის ქუდით თავზე. ეს იყო პოეტ ნოე ზომლეთელის ძმა — ქურიძე. დამიწყო დაკითხვა. ვხედავ, დიდი იერიში მოაქვს ჩემზე. მისმევს და მისვამს კითხვებს და მასთან: როგორ უაურებელ თქვენში საბჭოთა ხელისუფლებას. მე უარყოფითად უპასუხე, დღეს საქართველო დაპყრობილია რუსის ხიშტებით და ამას ვეგობ-თქვა. (კარგად ვიცი რომ არ დამინდობენ და ვიჩნე ვაჟკაცობას). შემდეგ მისვამს კითხვას. **1919 წლის** შემოდგომაზე რომ თავს დამესხენ ჩემს სახ. გვ. შტაბზე და სისხლში ჩავახჩე მათი აჯანყება, ამაზე ას მეტყვირ. მე უპასუხე, ბატონო კომისარო, მე ვიყავი ჩემი სამშობლოს სადარაჯოზე და თავი ხომ უნდა დამეცვა-თქვა. მერე კიდევ მისვამს მრავალ კითხვები.

უცებ, ადგა ეს ჩემი გამომძიებელი და გავიდა მეორე ოთახში. მაუზერის რევოლვერ კი დატოვა თავის მაგიდაზე. დაახლოებით თუთხმეტი წუთი დაყო და გამოვიდა. მე ადგილი-დან არ დავძრულვარ, რადგან კარგად მივხდი მისი ეშმაკობა, მას ეგონა რომ დავსტაცებდი მაუზერს და ის ამით ისაჩებლებდა, მარა ეს თინი არ გამოცვიდა.

ერთი კვირის შემდეგ გადაგიყვანეს ქუთაისის ჩეკაში თვრამეტი კაცი. ამათში ვიყავით: ჩვენი დამფუძნებელი კრებ-



ის წევრი გრიგოლ ცინცაბაძე, ოზურგეთის ქალაქის მუნიციპალიტეტის დამცუძნებელი კრების წევრი გიორგი მურვანიძე, ისაკი ურუშაძე, გრიგოლ ცინცაძე, ქრისტეფორე იმნაიშვილი, თელორე ჭანიშვილი, ლ. გიგინეიშვილი, ვაელას სახელები არ მახსოვს. მწერალი შიო ჭანტურიშვილი იყო კიდევ.

ქუთაისის ჩეკაში დაგვიხვდა მრავალი ამხანაგები სხვა-დასხვა კუთხიდან. მათში იყო ცნობილი ქართველი და კარგი ვაჟკაცი მიშა კოლუაშვილი. ეს მიშა იყო ფედერალისტი. 1923 წელს მას თავს დაესხნენ თბილისში და მოკლეს.

გურიის განმანთავის სუფლებელმა კომიტეტმა მოაწყო წითელი ჯვარი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვაჟა ჩიტაიშვილი, ისტუ დაზგრეტილი ოცდა ოთხი წლის აჯანყების დროს ბათუმში.

ქუთაისის ჩეკაში კომენტარი შესახედობის კაცი, ახუნდოვი. ჯალათი იყო, ხერეტი ბიჭებს ჩეკას სარდაფებში და მერე გაქონდათ გვამები საღორიას ტყეში. თეთრ ჩერკესკას ატარებდა სულ სისხლით შეღებილს. ლადიკო გიგინეიშვილი და თელორე ჭანიშვილიც იმავ ჩაკლა სარდაფში, თელორე ვერ დაიხსნა ჩეკისტმა სიძემ მცურნალმა. მეც იმათან ერთად გამამზადეს, მარა გადაგრჩი იმით, რომ უარი არ ვთქვი ჩემს პარტიის წევრობაზე რადგანაც იმ ხანებში ს.დ.პ. წევრებს არ ხერეტინენ. გრუზჩეკას თავმჯდომარებ კიტე ცი-ციაძემ გამოაქვეყნა კიდევს: მე დავხვრიტეო ას ორმოცი კაცი და მათში არ არისო არც სოც. დემოკრატები და არც პოლიტიკურებიო. ამ კოტე ცინცაძემ მოგვითხოვა თბილისში ჭანიშვილისა და გიგინეიშვილის დახვრეტის მესამე და მე და ისაკია ურუშაძე. გაძლიერებული დაცვით, რომელთაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ბოლშევკი ვალია ბახტაძე, ჩაგვხევს ვაგონში ქუთაისის სადგურში. ჩავედით თბილისში ნაშუადლევს სამ საათზე. სადგურზე დავინახე ჩემი უმცროსი ძმა ლაგრენტი, რომეც ამხანაგებთან მუსაილობდა. ლაგრენტი არ ტილერიის ოფიცერი იყო და დასტოვეს ჯავშნიან მატარებელზე. ჩემმა ძმამ რომ დამინახა, თავი გადაქნია, — ვაი რა დღეში ხარო. ეს შეამჩნიეს ჩეკისტებმა და სტაცეს ხელი. სამ დღეს ყოფილა თბილისის საღვრის ჩეკაში, მაგრამ გაანთავისუფლებია კოტე ცინცაძის ძმამ

ბიქტორამ, — ახალგაზრდობის, ამხანაგები იყვნენ დაუჭავდებოდნენ პარმენას დიშვილი ცოლად. მესამე დღეს, იმ ბიქტორას და-ხმარებით მინახულა ციხეში სულ ხუთი წუთით.

რომ შემიყვანეს ჩეცის მესამე სარდაფუში, იქ დაბიხვ-დნენ: მიკიჩა ვარდოიანი, გიზო ანჯაფარიძე, გენერალი მაზ-ნიაშვილი, მიშა ნაკაშიძე და ბერი სხვა. იმის აღწერა, ჩვ-ენ რომ იქ დღეში ვყავდით, არ შეიძლება: დაგვესია მკედნა-რი, ვიყავით მშეერი. ნაშუალმევს ორ საათზე შემოვიდა სარდაფუში იქაური ჯალათი შულმანი, რომელსაც სომეხი ჯა-ლათები ახლდნენ. ვისაც შოესურვებოდა, იმას დაუძახებდა: — ვიხადიტე ტავარიჩო„. გაიყვანდნენ კალიფორნია და საში-ნლად აშშ ამებდნენ. მერე შეუკრავდნენ ხელებს და ჩაყრიდნენ საბარგო მანქანაში, რომელიც გამუღმებით მუშაობდა, ყვირ-ილის ხმა რომ არ გასულიყო. მიყავდათ საცოდავები საბურთ-ალოზე და გამზადებულ ორმოებში ყრიდნენ. ეს ყოველ დამე ხდებოდა. ერთხელ, ერთი ნიგოეთელი ორმოცაძე გაიყვანეს. შულმანმა რომ ხელების შეკვრა მოუნდომა, დაასწრო რომოც-აძემ და გატეხილი ჰიქა შეაზილა სახეში. იქვე დერფანში ჩაკლეს ის ორმოცაძე...

ერთხელაც, გამიძახეს დაკითხვაზე. გამომძიებელი იყო ჯეგმიშორი. რუსულად დამისვა კითხვები. რომ უთხარი. არ ვიცი რუსული-თქვა, გაეცინა. ცოტა ლიბერალი ჩანდა. გადახ-ედა ჩემს ღოსიეს და მკითხა, საბჭოთა ხელისუფლებას უარყო-ფითად რატომ უყურებო. ბევრი სხვა კითხვებიც ჰამისვა. ასე გავატარე თერთმეტი თვე ჩეკის სარდაფუში და 1922 წლის თორ-მეტ მარტს გადამიყვანეს მეტეხის ციხეში, საღაც შევხვდი ალ-ექსანდრე დებუადესს მან კიდევ თავის საკანში გამაცნო ერ-თი პიროვნება, რომელსაც მე პირადად ვერ ვიცნობდი. ეს იყო დათიკო უღენტი. ალექსანდრემ მითხრა, ეს კაცი დასაკარგი კა-ცი არ არის და ნუ მოიშორებო. ამ. დათიკოზე გაგრაში მქონ-და გაგონილი, რომ რაღაც უსიამოვნება მოუვიდა და დარცხვე-ნილი იყო. მართლაც კარგი ვაჟეკაცი და სამეგობრო კაცი გამო-დგა დათიკო. ერთ საკანში მოგვათავსეს და ძალიან დავმეგობრ-დით. ციხის ერთ-ერთი მუშაკი პიროვნება დათიკოს ნაცნობი ალ-მოჩნდა, რომელმაც ერთი საჭმე ჩაგვიშტ ყო. საჭმე ის იყო რომ



ქრისტეფორე იმნაიშვილის მოგონებები

1922 წლის დასახლებელი

ამ ხანებში ბევრს აგზავნიდნენ სოფლებში სამუშაოების მიზანით. წელში ნატანებიდან ოზურგეთში გამდიდრდათ ჩატანიგზა. დათიკომ ამ სიაში შეტანია ჩემი თავი იმ კაცს. ერთ დილით, გამიყვანეს თბილისის სადგურში და ჩამსვეს მატარებელში. მე არაფერი ვიცოდი, საით მივყავდი. გავიარეთ რიონის სადგური, სამტრედია, საჯავახო, ღარნიჟუთი და აქ დავინახე ბიუროსაჩემი. ოზურგეთში ჩავედით ნატანებიდან ფეხით. აქ ისევ ციხეში დაგვამდიდეს. აქ რომ ციხის უფროსმა დამინახა, გაუკვირდა, — აქ რა გინდა, დახვრეტილი უნდა ყოფილიყავიო. აცნობა თბილისს და მიიღო იქიდან ბრძანება ხელახლა თბილისში გავეგზავნე. მეც გავემზადე. რვა აპრილი იყო, აღდგომა დღე.

უცებ, ციხის მცველებში დავინახე ჩემი ნათესავი ჭაცი. გავაბი მასთან კავშირი და მისი წყალობით გავედი სამშვიდობოს. სოფ. მშვიდობაურში დაგვაკავშირეს სიმონიკა გოგიბერიძეს, რომელმაც ური კარაჩინა თოფი და ტყვია-წამალი მოგვცა. ერთ მიყრუებულ წისქვილში ვაფარებდი თავს. საჭმელი სიმონიკას დედას მოქმნდა. ეს იყო სოფელი ჭაჭითი.

კომუნისტებმა ყველა გზები შეკრეს, ჩემს დას, რომელიც იქ ცხოვრობდა, დაეცნენ. ჩემი მოხუცი დედ-მამაც დაატუსაღეს. და გახურებულ მზეში აწამეს. დედაჩემმა ვერ აიტანა ეს წამება, დაგვალმყოფდა და გარდაიცვალა. ჩემი ოდა სახლი კომუნისტებმა დაშალეს და თავისთვის დაიღეს სხვაგან. ჩემი ცოლი აწამეს ჩეკაში — გვარი გამოიცვალეო და რომ არ ქნა, ციმბირში გაასახლეს და იქ დაიკარგა: აი, რა მოუტანა თებერვალმა ჩემს ოჯახს და ჩემს სამშრბლოს...

1922 წლის შემოდგომაზე, დათიკო უღენტი ჩოხატაურში მიდიოდა, ჩოხატაურიდან კიდევ, — ცხენზე შემჯდარი კომისარი ჩანტლაძე ორი მილიციელის თანხლებით. ჩანტლაძემ რომ დათიკო ვერ შეიცნო, მილიციელმა დაუძახა, — აი დათიკო უღენტიო! ჩანტლაძემ გადმოიღო მაუზერი და იქიდან კიდე — დათიკომაც და ორივე უსულოდ დაეცა. ტყვია ტყვიაში გაცვალეს. ორივე ჩოხატაურში ჩაიტანეს. ყველა დათიკო-უღენტს დატიროდა...

ყველაზე მეტი ზიანი საქართველოს მისმავე მოღალატე შვილებმა მოუტანეს. მიქოიანს თავისი ერისთვის, სომხეთისთვის ის



ზიანი არ მოუყენებია, რაც მოუტანეს საქართველოს კულტურული განვითარების მიმღები და მიმღები მას დასხვებმა. რამდენი ასეული მა- ვილმა, ორჯონივიძემ, ბერიამ დასხვებმა. რამდენი ასეული მა- მულიშვილი ჩაკლეს ამ ჯალათვებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რამდენი – სალადგებში და ციმბირის ტრამალებში... ეს მოუტანა ჩვენ სამშობლოს თებერვალშა, და მოსკოვი ამ დღეს მათ ადღესასწაულებს...

ქ. იანაიშვილი

ପ୍ରଦୀପ କାନ୍ତିଲିଙ୍ଗ ପାତ୍ର ହେଲା ଏହାର ମଧ୍ୟ କାନ୍ତିଲିଙ୍ଗ ପାତ୍ର ହେଲା

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, აღ-
გილობრივი მმართველობის ორგანოებს, საქართველოს მოქალაქეებს

დიდი ცხრა პერიოდის სტორიული მნიშვნელობა. ეს დღე
საქართველოს დამუკიდებლობის დღეს გამოცხადდა. შეიძლება
ითქვას, რომ საქართველოს უპსკონს ისტორიაში, ცხრა პერიოდს
ქართველმა ერმა ერთხმად გამოხატა. თავისი ნება – ნება თავი-
სუფლებისა, ნება თავისთავადი განვითარებისა, რაც მთავარია, –
საქართველომ უმანკო, უღანაშაულო სისხლეს ფასად სწორედ იმ
ტრაგიკულ ღამეს ახალი ძალით შეიგრძნო ერთიანობისა და ერთ-
სულოვნების ფასი და მნიშვნელობა. დიდება მათ ხსოვნას.

როგორც სახელმწიფოს მეთაური, როგორც მოქალაქე საქა-
რთველოსი, ვთხოვ ყველას, საქართველოს რესპუბლიკის სამინისტ-
როებსა და უწყებებს, აღგილობრივი მართვის ორგანოებს, მოქა-
ლაქეებს ჩვენი ახლ ადგეხადგმული სახელმწიფოსი, ვაჭიოთ ცხრა
აპრილი არა მარტი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის
სიმბოლი, იმ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისა, რომ-
ელმაც. ქართულ სახელმწიფოებრიობასთან მიგვიყვარა, არამედ სა-
ქართველოს ერთიანობის, ერთობის ღლედაც. ღლუპულთა სისხლი
ამას მოითხოვს ჩვენგან, ახალ ქართული სახელმწიფოს პირველი
მშენებლებისაგან. სწორედ ამ განწყობილებით უნდა აღინიშნოს
ეს ღლე ჩვენს ქვეყანაში.

ელუარქ შევარდნაძე

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ზ ა შ დ ა მ ა რ ე ბ ი თ ვ ი ს
მ წ უ ხ ა რ ე ბ ი თ ვ ა უ წ უ ე ბ თ ს ა ზ ო გ ა დ ღ ი ს ა ს ა მ ი ს —
* * *

ბრიუსელში გარდაიცვალა **14** სექტემბერს ამა წლისა
ქ-ნი ელენე პაფლეს ასული ყიფიანი - ამირეჯიბისა, დაბადებ-
ული **1899** წელს. იგი იყო მეტად მუყაითი მშრომელი ადამი-
ანი, დიდი თავდადებული თვისი ოჯახისათვის და მეტად მოყ-
ვარული თვისი სამშობლო საქართველოსი.

* * *

ა.ჭ. ვ ი ა ნ ვ ა რ ი ს ქ. გოლიტაში (კალიფორნია) **70** წლის ასაკ-
ში გარდაიცვალა უკანასკნელი მსოფლიო ომის მეომარი მიშა-
იაფეტ ჭელიძე. აზერიკაში დაჩჩა გერმანული წარმოშობის ქვ-
რივი, ქალბატონი ჰილდე. ხოლო ავსტრიაში – პირველ ცოლთან
შეძენილი ქალიშვილი რენათე და შეილიშვილები.

ლმერთს ვთხოვთ, რომ დაუმკვიდროს საუკუნო სასუფევი-
ლი. ამინ!

* * *

წელს, **5** აპრილს, **94** წლის ასაკში, პარიზში გარდაიცვა-
ლა ქ-ნი ნინო სალია. კრემაციის შემდეგ მისი ფერფლი გაიგზ-
ავნა საქართველოში.

* * *

წელს, სამშაბათს, **20** აპრილს ანგელოზივით მიიცვალა დი-
დი ქალბატონი სოფიო ჩიჯაგაძე-კედიასი. განსვენებული მრავალ
შხრივ იყო შესანიშნავი. ჩვენ განზრახვა არ გვაქვს, რომ მას
კუთვნილი დიდება შეგასხათ. დავიწყოთ იქმდან, რომ ის იყო
უხუცესი, მისი **108** წლოვანებით, ქართველებს შორის, არამედ
ფრანგებშიაც კი. რესაკვირებია, ამის დამსახურება მის ჯან-
მრთელობასთან ერთად მის საყვარელ ქალიშვილს თეო (თეოდორ-
ასაც) მიუძღვის.

ქ. სოფიო დიდად სახელგანთქმული პედაგოგი გახლდათ საქ-
ართველოში, იგი უზრდიდა სამშობლოს თავდადებულ მამულიშვი-
ლებს. დღესაც კიდევ მოიძებნებიან მისი მოწაფეები, რომლებიც
სიყვარულით იხსენებენ მას და მისი სიკვდილი მწარებ დააღონ-
ებთ.

ქ. სოფიო იმითაც იყო შესანიშნავი, რომ ის საქართველოს

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის უწყვეტისას
ნებულ სპირიდონ კედიას ქვერივი გახლდათ.

ამდენი საქმის მომქმედს, გვწამს რომ ადამიანები მაღლიერებით მოიხსენიებენ, ხოლო სული მისი დამკვიდრდებაიქ, სადაც მართალნი განისცენებენ. ამინ!, ამინ!, ამინ!

* * *

ივონ ზურაბიშვილის გარდაცვალება

ჩვენია მძიმე ავადმყოფობამ (სწორედ მის დასაფლავების დროს გავხდით მძიმედ ავალ), შეგვიშალა ხელი თავის დროზე აღგვენიშნა ჩვენი საზოგადოების ასეთი მნიშვნელოვანი დანაკლისი, როგორიცაა ქ. ივონ ზურაბიშვილის გარდაცვალება, რასაც ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ აღგილი ჰქონდა გასული წლის ცხრა ოქტომბერს.

ივონი დაბადებული არ იყო ქართველად, მაგრამ მან საკუთარი ერივით შეიყვარა და შეისისხლორცა ქართველობა, ყოველ შემთხვევაში, ემიგრაციაში მცხოვრებნი განსაკუთრებით. ივონმა და ტარიელმა სახელოვნად აღზარდეს ერთი ქალ-ვაჟი. ივონს ბედნიერება ჰქონდა ვაჟის ქორწინებას მოსწრებოდა. გეომა არ დააცალა ქალიშვილის დაქორწინებაც და შეიღთა-შვილების აღზრდის ბედნიერებაც ეხილა. მაგრამ წუთისოფელი განა ყველა ბედნიერებით შეამკობს ადამიანს?!

ივონი ერთგულად ეხმარებოდა მეუღლეს საზოგადოებრივ საქმიანობაში, უმთავრესად საქველმოქმედო ხაზით.

დაგვტოვა ჯერ კიდევ ახალგაზრდამ და გვწამს, რომ სული მისი ამაღლდა მამაზეციერამდე. საუკუნე იყოს ხსენება. მისი. ამინ!

* * *

ნიკოლოზ ჯანელიძე

1993 წლის 31 მარტს, იტცეპოეში, ჰამბურგთან ახლოს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაბიცვალა ჩვენი თანამემამულე – ნიკოლოზ ჯანელიძე, რომელიც იქ 1945 წლიდან ცხოვრიბდა, შორს საქართველოდან, რომლის ნახვის ის ვერ მოესწორ. ნიკო ჯანელიძის სახით ჩვენ დაკარგვათ ერთგული მეგობარი და ლისშესანიშნავი აღამიანი, რომელმაც განსაცვიფ-



რებლად ბევრი რამ გააკეთა, რის საშუალება მას უსრულებელი მისცა.

ნიკოლოზ ჯანელიძე დაიბადა 1921 წლის ორ თებერვალს ქ. სამტრედიაში და სკოლაში დადიოდა იქვე. 1937 წლიდან 1941 წლამდე სწავლობდა იგი გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში და სწავლის დამთავრების შემდეგ იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებული მის მშობლიურ ქალაქში. მაგრამ მაღლე გაწვეულ იქნა წითელ არმიაში, 1942 წელს ჩავარდა ტყვედ ქერქში და ამის შემდეგ ცხოვრობდა გერმანიაში. დასაწყისში ის მუშაობდა გლეხთან, ნოირუპიესთან ახლოს და ამავე დროს სწავლობდა გერმანულ ენას. შემდეგ ის გადავიდა რომში საჭაც ცნობილი მეცნიერი პატერ მიხელ თარხნიშვილი, კართველი კათოლიკე, რომელიც გერმანიაში სწავლი ბდა და მრავალი შესანიშნავი ნაშრომი გამოაქვეყნა საქართველოს ეკლესიისა და ლიტერატურის შესახებ, მოღვაწეობდა და თავის ირგვლივ შემოიკიბა ექვსი ქართველი ახალგაზრდა იმ მიზნით, რომ ვატიკანის ინსტიტუტში - „კოლეგიუმ რუსიკუმში“ მათვის თეოლოგია და ისტორია ესწავლებია, რის განხორციელება მხოლოდ ნაწილობრივ შესძლო: მხოლოდ ერთადერთი დარჩა პატერ მიხელ თარხნიშვილთან; დანარჩენები, ნიკოლოზ ჯანელიძის ჩათვლით, რომელსაც დიდად აფასებდა პატერ მიხელი და რომელთანაც სიკვდილამდე მიწერ-მოწერა ჰქონდა, - შეუერთდნენ თავიანთ თანამემამულეებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ნიკოლოზ ჯანელიძე მუშაობდა ისევ გერმანულ გლეხთან და, რმის დამთავრების შემდეგ, შესძლო მიმარვა და თავი აარიდა საბჭოთა კავშირში დაბრუნებას.

1950 წელს, ნიკომ დაიწყო სწავლა პამბურგის უნივერსიტეტში, ეკონომიკურ ფაკულტეტზე, შაგრამ, ფილტვების სისუსტის გამო იძულებული გახდა თავი დაენებებია სწავლისთვის. შემდეგ, მას გააჩნდა საწერი ქალაქდის დამამზადებელი საამქრო თ და, ამავე დროს, მუშაობდა იმ მიზნით, რომ ქართული ენა გაეგრცელებინა გერმანიაში, რის სტიმულიც მას მისცა პატერ მიხეილმა და ქართველი მანდილოსნის ლიდია (ლილი) პაპე-გეგე-ლაშვილისა და მისი ოჯახის მეგობრობამ. გეგელაშვილის ტრა-



დიციული ოჯახი კი ემიგრაციაში მოექცა 1921 წლის 22 მაისის დღეს, როცა ბოლშევიკებმა დაიპყრეს დამოუკიდებელი საქართველო.

1961 წელს, ნიკო ჯანელიძემ გამოაქვეყნა გერმანულ ენაზე წიგნი სათაურით „წმინდა ნინო“ ქვესათაურით „წმინდა ნინო – ქართული ლეგენდარული სახე“. 1962 წელს, ნიკო ჯანელიძემ თხოვა ჰავბურგის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის პროფესიონალური გერმანულ შპცულერს, რომელიც მანამდე ქართული ენის კურსებსაც მართავდა პამბურგის უნივერსიტეტში, მიეცა ზისტვის საშუალება ესწავლებია დაინტერესებულ სტუდენტებისათვის ქართული ენა. ეს უფლება მან მიიღო. თუმცა, ხელფასი იმდენად მცირე იყო, რომ ამით ცხოვრება მას არ შეძლო. შემდეგ, ნიკო ჯანელიძე ასწავლიდა ქართულ ენას კილის უნივერსიტეტშიც. ნიკოს გააჩნდა ისეთი ადამიანური და პედაგოგიური თვისებები, რომ მრავალი სტუდენტი დააინტერესა ქართული ენითა და კულტურით. შემდგომ ბევრი მათგანი გახდა საქართველოს მეგობარი. ნიკო არ იყო მეცნიერი და არც სურდა ყოფილიყო ასეთი, მაგრამ ის იყო შესანიშნავი მასწავლებელი იმ გაგებით, რომ მის მოწაფეებს შეაყვარა საქართველო და ყოველი მათგანი მოწადინებული იყო, რომ რაც შეიძლება მეტი შეესწავლა. ნიკო აცოცხლებდა თავის გადვეთილებს მისი ცხოვრების საინტერესო მომენტების მოყოლით, ზოგჯერ მოჰქონდა გაკვეთილებზე ხაჭაპური თუ გოზინაყი, ერთხელ ნოდარ დუმბაძის მოთხერობის მიხედვით შექმნილი ფილმი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონიც“ კი აჩვენა სტუდენტებს. ხშირად პატიურებდა სტუდენტებს ქართულ სალილებზე იტცებოდა, სტუდენტები წერილებს წერდნენ საქართველოში უცხო პირებს და მოუთმენლად ელოდებოდნენ პასუხს საქართველოდან.

მაგრამ, ნიკო ჯანელიძის ინტერესების წრე მხოლოდ უნივერსიტეტით არ შემოიფარგლებოდა: ქ-ნ ლიდია პაპ-გეგელაშვილთან ერად და მის ვაჟიშვილთან, ნიკომ გამოსცა „ქართული საზარეულოს წიგნი“ 1974 წელს, აწყობდა. სხვადასხვა გამოფენებს, როგორც, მაგ. „რუსთაველის 800 წლისთვის“ ჰამბურგის უნივერსიტეტისა და სახელმწიფო ბიბლიოთეკის 1966 წელს,



„ქართველი ბაგშვების ნახატების გამოფენა“ იტურენტში 1982 წელს. ნიკო მართავდა კურსებსა და კითხულობდა ოცენატებს, მოუთხრობდა ბაგშვებს ქართულ ზღაპრებს, რასაც დიდი წარმატება ჰქონდა. მას კავშირები ჰქონდა არა მარტო ქართველებთან გერმანიაში და ევროპაში, არამედ იმ პირებთანაც, რომელთაც რაიმე კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან. იგი არა აჩვეულებრივი ენთუზიაზმით ამყარებდა კონტაქტებს უცნობ ადამიანებთანაც კი, მისთვის თითქოს საზღვარი არ არსებობდა ამ საქმიანობისთვის. ესენი იყვნენ ქართველი თუ გერმანელი ხელოვანები, მწერლები, მოცეკვავები, მეცნიერები, როგორც მაგალითად, დიდი მწერალი გიუნტერ გრასი და ზიგფრიდ ლენცი.

ღაასლოებით ამ ათი წლის შინ, ფინანსიურმა სიდუხჭირებმ თავი დაანებებინა მისი ქალალის სამაქროსთვის. მაგრამ იგი მაინც ახერხებდა „მიეწვდინა ხმა ჟველა ქართველისთვის, ვინც კიგერმანიაში მოდიოდა. და უველა გამოძახილი, რომელიც მოდიოდა გერმანიიდან თუ საქართველოდან, მის ბეჭნიერებას შეადგენდა.

ნიკო ჯანელიძის შოლვაშვილის დიდ დაფასებად იქცა „ალბერტ შვეიცერის მშვიდობის მედალი“, რომელიც მას მიენიჭა 1983 წელს. ამასთან დაკავშირებით, ერთი უურნალისტი მოხდენილად შერდა, რომ ნიკო ჯანელიძში არის რაღა „წონასწორობის შემქმნელი: როცა საქართველოში ასეთი მასშტაბით ისწავლება გერმანული ენა და ლიტერატურა, გერმანიაშიც საჭიროა ქართული კულტურის წარმომადგენლობა“...

პოლიტიკურ მდგომარეობას თავის სამშობლოში ნიკო იხილავდა ფხიზლად და თავდაჭრილად. საქართველოს რთული დღევანდელი პრობლემები ანალიზიანებდა მას. მაგრამ მთელი მისი გულისტყივილი მან გარდაქმნა აზროვან, პროდუქტიულ ქმედებაში.

პროფ. დოქ. ვინფრიდ ბოედერი
ოლდენბურგის უნ-ტი, გერმანია.

* * *

მისი სურვილის თანახმად, ნ. ჯანელიძე ანონიმურად იქნა დაკრძალული იტურენტში, 1993 წ. 31 მარტს, კრემატორიუმის წესით.

თარ: გმ. კ. ინასარიძის

*** * *** * *** * *** * *** * *** * *** * *** * ***

ფ რ ა ნ გ უ ლ ი პ რ ე ს ი დ ა ნ

დაუდასტურებელი ცნობების მიხედვით, ე. შევარდნაძეს გულის შეტევა ჰქონდა პარლამენტის სხდომაზე.

„ფიგარო“, 7.01. 93.

* * * *

თეირანიდა მომავალი ცნობით, იქ ვიზიტად იმყოფება ედ. შევარდნაძე.

„ლ ე მ ო ნ დ „, 19. 01. 93.

* * * *

20 იანვარს ა.შ.შ. პრეზიდენტი გახდა ბილ კლინტონი. სახელმწიფო მდივნად აირჩია ვარენ კრისტოფერი, ხოლო ხაზინის მდივნად – ლოიდ მანდალი და თავდაცვისა – ლე ასპექტი.

* * * *

სსრკ დაშლიდან და „СЕІ“ შექმნიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ ჯერ მიღებული არაა ახალი კავშირის ქარისტა და არც ისაა ცნობილი, თუ რამდენი რესპუბლიკა ერთიანდება მაში.

„ლ ე მ ო ნ დ „ 24-25..01.93.

* * * *

მიმღინარეობს ტაჯიკების გენოციდი.

„ლ ე მ ო ნ დ „ 27.01. 93.

* * * *

თებერვლიდან მოყოლებული, მიმღინარეობს მოლაპარაკება რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების დადების თაობაზე. არაოფიციალური ცნობით, რუსეთის ჯარები საქართველოში უნდა დარჩნენ 1995 წლამდე. ქართველი პატრიოტები მოითხოვენ, წავიდონ დაუყოვნებლივ.

„ლ ე მ ო ნ დ „, 6. 02. 93.

* * * *

დღეს საიდუმლო აღარ არის, რომ ბელგიის სამეფო დაშლის პირასაა: ფლამანებისა და ვალონების ფედერაციად.

„ლ ე მ ო ნ დ „, 9. 02. 93.

* * * *

პრეზიდენტ უისკარ დესტენის აზრით, მდგომარეობა რუსეთში ტრალიკულია. ის მოელის ცვლილებებს მთავრობაში დაურთ-



იერთობის გამწვავებას დასაცლეთთან.

„ლე მონდ“, 13. 02. 93.

* * *

ლიტვაში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა დამოუკიდებლობის ჩემპიონი – ვიტაუტას ლანდსბერგისი და გამარჯვა ყოფილმა კომუნისტმა ლიდერმა ალკირდას ბრაზაუსკასმა.

* * *

რუსთის სამხედრო მინისტრი ნებას რთავს რუსის ჯარს სასიკვდილოდ ესროლოს მანიფესტანტები ქართველებს. საქართველოს კველა წრეებმა დაგმეს ეს ბარბაროსული ბრძანება. ისინი მოითხოვენ, რომ შეწყდეს რუსთის აგრესია. რუსები აღარ მაღავენ: მათ უნდათ; რომ გამოსავალი ჰქონდეთ შავ ზღვაზე.

„ლე მონდ“ 26. 02. 93.

* * *

მარტის ბოლო რიცხვებში, ქართველებმა მოიგერიეს რუსების იერიშები. რუსთის ავიაციამ ისევ დაბომბა ქართული პოზიციები პირველ და ორ აპრილს. რუსებმა განაცხადეს, რომ მათ ეს ჩაიდინეს რეპრესიის მიზნით.

„ლე მონდ“, 45. 04. 93.

* * *

პირველი აპრილიდან საცრანეოს ახალი პრემიერ-მინისტრი ჰეივას. ხმები დატის, რომ ის ბალადურიანია და მისი მშობლები არიან ისმალეთიდან გამოძევებული სომხები.

* * *

ბორის ელცინის დაუინგბით, 25 აპრილს ჩატარდა რეფერენდუმი. ელცინს მხარს უჭერდა დასაცლეთი და „CEI“-ში გაერთიანებული რესპუბლიკები. პირველი მონაცემებით, ელცინმა გაიმარჯვა, მაგრამ გამარჯვება სრულყოფილი უნდა იყოს და მას კიდევ დასჭირდება კომუნისტურ პარლამენტთან კიდილი.

ამბობენ, რომ ჯარის მორალი ძალიან დაბალია.

* * *



ქართული პრესიდან

მიმდინარე წლის თებერვალ - მარტში თბილისში, ვერის ბაღში გაიხსნა ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლი.

* * *

სამ თებერვალს თბილისში ჩავიდა გაეროს ექსპერტთა ჯგუფი ცხრის კაცისგან, რომელსაც ხელმძღვანელობს ბ. რობერტ სორია.

„საქ- რესპუბლიკა“, 4. 02. 93.

* * *

შეიქმნა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის 75-ე საიუბილეო კომისია, მთელი წელიშადი გამოცხადებულია საიუბილეო წლად, და იგი დაგვირგვინდება ოქტომბერში. საპატიო თავმჯდომარედ, რასაკვირველა, რომ არჩეულია თუ დაწინული ბ. ედ. შევარდნაძე.

* * *

საქ. თავდაცვის მინისტრის ბრძანებით გენ. გიორგი ყარაუარაშვილი დაინიშნოს თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კორპუსის საჩდლად.

„საქ. რესპუბლიკა“, 5. 02. 93.

* * *

თებერვალი, დიდი თოვლი ზემო - იმერეთში, განსაკუთრებით საჩხერისა და ჭიათურის სოფლებში.

* * *

საქ. საგარეო საქმეთა სამინისტრომ საპროტესტო ნოტა დაუგზია მსოფლიო სახელმწიფოებს, გაეროს, ნატოს და ევროპის უშიშროების საბჭოს. ნოტა ეხება რუსეთის ავიაციის მიერ (სუ-25) რაკეტების დაშენას და დაბომბვის ქ. სოხუმისას.

შევარდნაძემ განაცხადა, რომ რუსეთთან ურთიერთობა როგორც ფაზაშია და ეს შეშფოთებას იწვევს არა მარტო ჩემსას, არამედ რუსეთში არსებულ იმ ძალებისაც, რომელთაც მიაჩნიათ, რომ იგი არ შეესაბამება არც ქართველი და არც რუსი ხალხების ინტერესებს.

„საქ. რესპუბლიკა“, 24. 2 და 2. 3. 93.

ქართული პრესიდან

— ა.შ.შ. 6 მარტის ნოტა აუკარად უჭირს მხარეს უფრო მაღალი
ველოს, მის ტერიტორიულ მთლიანობას.

— გაეროს ორგანიზაციაში, ედ. შევარდნაძის ბრძანებულებ-
ბით, საქ. რესპ. მუდმივ წარმომადგენლად დაინიშნა პეტრე პეტ-
რეს-ძე ჩხეიძე.

— თ. კიტოვანის განცხადება: საქართველო არის კაპქასიის
გასაღები, მას მხოლოდ მშვიდობიანი დიალოგი გაიღებს.

„საქ. რესპუბლიკა“, 16. 03. 93.

* * * *

რუსეთის სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ საქართველოს
მხარს უჭირენ: ჯორჯ ბუში, ჯონ მეიური, გერმანიის კანცლე-
რი და ევროპის სხვა სახელმწიფოები.

— 25 მარტს, ევროპარლამენტის დელეგაცია იმყოფებოდა
თბილისში და საეთოდ — საქართველოში.

— დიდი ხანძარი თბილისის მეტროში.

— პარლამენტმა მიიღო საქ. მოქალაქეობის კანონი.

* * * * „საქ. რესპუბლიკა“ 27. 03. 93.

— ტერორი მძვინვარებს საქართველოში, განსაკუთრებით —
„იბერია-სკექტრის“ მამაცი რედაქტორის ირაკლი გოცირიძის წი-
ნააღმდეგ. სირცხვილი ხელისუფლებას, არმელსაც მშვიდობიანი
ოპოზიცია აშინებს.

— გაერო ისევ მხარს უჭირს საქართველოს. (7. 04.).

— ა.შ.შ. მხარს უჭირს საქართველოს. (8. 04.).

— შევპრონაძემ ასეთივე მხარდაჭერის წერილი შიიღო ჰელ-
მუტ კოლისაგან. კოლი წერს, რომ ის მიზნად ისახავს განამტკი-
ცოს საქართველოს სახელმწიფო მეთაურის პოზიციები, როგორც
თავისუფლების და დემოკრატიის გარანტისა.

* * * *

18 აპრილი აღდგომაა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. გი-
ხაროდეთ მორწმუნენო თუ ურწმუნონო, რამეთუ ბოლოს ყველა
შეხვალთ საუკუნო სასუფეველში.

ქრისტე აღსდგა! ჰეშმარიტად აღსდგა! ამინ!

* * * *



(ფ რ ა ნ გ უ ლ ფ რ ა ნ კ ე ბ შ ი)

გიორგი მორალიშვილი -	490.	რუბენ გვეტაძე -	200
მალხაზ მიქაძე - - -	500	გურამ ასათიანი -	500
კოტიკო როსი - - -	461	გიორგი ყოყოჩაშვილი -	200
სანდრო მანველიშვილი -	938	ციცა ბერიძე - - -	200
ნოელ და იონა გუნია -	500	ტიტიკო ჩხეიძე - - -	237
შოთა ბერეჟიანი - - -	500	პეტრ ხვედელიძე, - მიშა-იაფეტ ჭელიძის მოსახსენიებლად	480

5 206.

ჩ ვ ე ნ ი ს ა ლ ი კ ვ ი ღ ა ც ი ო ა ნ გ ა რ ი შ ი

„გუშაგის“ № 27-ში (1992 წ. გაზაფხული) გამოცხადებულია, რომ სალაროს დანაკლისი შეადგენდა 21 003 ფრ. მას შემდეგ, მდგომარეობა ასე განვითარდა: № 28 (1992 წ. ზაფხული), „გუშაგის“ გასავალმა გადააჭარბა შემოწირულებებს 1 639 ფრანკით. № 29 „გუშაგში“ (92-93 წ.- ზამთარი), გასავალმა ასევე გადააჭარბა შემოსავალს და შეადგინა 3 459 ფრანკით.

ამჯერად, შემოწირულებები არის 4 397 ფრანკი, ხოლო საერთო გასავალს ვვარაუდობთ 8 000 ფრანკს. ამრიგად, გასავალი კიდევ გადააჭარბებს შემოწირულებებს 3 603 ფრანკით.

თუ ამ დანაკლისებს შევკრებთ და დავუმატებთ სალაროს დანაკლისის ჯამს, მაშინ იგი შეადგენს დაახლოებით 34 000 (ოცდათოთხმეტი ათას) ფრანკს, რომელსაც ფარავს ეთერი შენგელია-ჭერეთლისა.

* * * *

ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი

ა.წ. იანვარში, მხცოვანმა პოეტმა გიორგი ტოგონიძემ საკუთარი ხარჯებით გამოსცა წიგნი ფრანგულ და ქართულ ენებზე, მიძღვნილი პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძისალმი. წიგნის ქართული ნაწილი, ქართული სტამბის უშოვნელობის გამო, ხელნაწერის სახითაა წარმოდგენილი. ავტორი სამართლიანად მარტავს, რომ ალ. ჭავჭავაძეს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართულ პოეზიაში. ის ერთი პირები რომანტიკოსია და წყვეტს კავშირს აღმოსავლურ-სპარსულ პოეზიასთან. ყველამ უნდა გამოიწეროს ეს საინტერესო წიგნი.

* * * *

** გამოვიდა: „რევიუ დე - ზ - ეტიუდ შეორჟიენ ე კოკაზიენ“ № 67 (1990-1991). დირექტორი – პროფ. გიორგი შარქაშვილი

*** იქნის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტმა კვლავ გაგვა-ხარა მისი „გეორგიკის“ გამოცემით. წიგნი დათარიღდებულია 1992წ.

*** გამოვიდა 26 მაისისადმი მიძღვნილი ეროვნული საბჭოს ორგანო: „მებრძოლი საქართველო“. უზრნალი მრავალფეროვანია, მისი რედაქტორი კარლო ინასარიძეა, მდივანი - მამია ბერიშვილი.

*** როგორც ცნობილია, რადიო „თავისუფლება“ დაარსდა 1953 წელს. წელს მისი დაარსების და მოღვაწეობის 40 წლისთავი იღ-ლესასწაულეს. მასთან დაკავშირებით გამოვიდა სოლიდური წიგნი: „40 წელი ქართული რედაქცია რადიო „თავისუფლება“. გამოცემა ეკუთვნის დავით თაბორიძეს და მასში შესულია ნიზ-ნაირი მასალები.

*** მივიღეთ თურქულ ენაზე გამოცემული წიგნაგი „ჩვენებური“. მასში შესულია სხვადასხვა ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები კარგად შერჩეული იქაური მაყურებლისათვის. რა კარგი იქნებოდა, რომ ასეთი წიგნი ქართულადაც გამოდიოდეს !

ეთერი

* * *

„თავისუფლების ტრიბუნის“
დაარსების მოკლე ისტორია“

.8.01.73 ზურაბ დალევან ზურაბიშვილები მესტუმრნენ სახლში. გადავწყვიტეთ: გამოცემა ახალი პერიოდული ორგანო.

20.01.73. ვაქრამის საყავეში შევიკრიბეთ: ლევან ზურაბიშვილი, მიშა ქავთარაძე, მიშა გრიგოლია და მე. აქ პირველად იყო წინადაღება, რომ გაზეთს ეწოდოს „თავისუფლება“. რედაქტორობა დამაკისრეს მე, ხოლო მდივნობა – მ. გრიგოლიას. მ. ქავთარაძე რედაქტიაში მონაწილეობას გვთავაზობს პენსიაში გასვლის შემდეგ.

2.1.01.73. წმინდა ნინოობა. გაზეთ „თავისუფლების“ ქრისტეტში თანამშრომლობას შეგვპირდნენ : გიორგი ნოზაძე, თამაზ ნასყიდაშვილი, გრ. ლომაძე, გრა სარჯველაძე, ოთარ პატარიძე.

11.02.73. ლევილში თათბირი: ნოე ცინცაძე, ლევან. ზურაბიშვილი, მიშა ქავთარაძე, გ. ყიფიანი, პ. სარჯველაძე, მ. გრიგოლ-



ია, გრ. ლომაძე, შ. კალანდაძე, გიორგი ნოზაძე, ნ. ყურულიშვილი, მირიან მელუა (მდივანი). გადაიდო ოცდახუთი თებერვალისათვის. ნიკო ურუშაძემ და პავლე სარჯველაძემ გამოაგზავნეს წერილები. გადაწყვდა, ნორბა გამოცემადოს სარედაქციო ჯგუფს, თანამშრომლობის ნიშნად, პირველ ნომერში ყველა დაპეჭვდოს სტატია. გიორგი წერეთელს მიენდო დირექტორიბა, მ. გრიგოლიას – მდივნობა. იმავე დროს ის იქნება რედაქციია.

1973 წელი მთლიანად მოუნდა გაზეთის გამოცემისათვის ფულის შეგროვებასა და პირველი ნომრის გამოცემას, რომელმაც დღის სინათლე იხილა მეორე წლის იანვარში.

საბოლოოდ, გაზეთს ეწოდა „თავისუფლების ტრიბუნა“, – ეროვნული მიმართულების, არაპარტიული.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1921 წელს ჩვენი სამშობლოს დაპყრობის წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული № 32 და გრიგოლ რობაჭიძის დაბადებიდან 100 წლისთაგის საიუბილეო 35 ნომერი (დეკემბერი 1981 წლისა), თეორიულდ ერთად გამოვეცით „ივერიამ“, „ჩვენმა დროშამ“ და „თავისუფლების ტრიბუნამ“. სინამდვილეში, ისინი მხოლოდ „თავისუფლების ტრიბუნის“ შრომითა-და სახსრებით გამოიცა. ამიტომ ჩვენ ისინი სამართლიანად შევიტანეთ მხოლოდ „თავისუფლების ტრიბუნის“ პროდუქციაში და მათთან ერთად, „თავისუფლების ტრიბუნა“ სულ 42 ნომერია.

* * * *



საქართველო
შიგნივებული

ს ე ვ ა ნ ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი

„თავისუფლების ტრიბუნა“, „გუშაგი“ ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან შინაარსით და მიზნით. პირველი გაზეოთის ფორმითაა გამოცემული, მეორე – წიგნაცის. ემიგრაციის სხვა ბამოცემებსაც – „ივერიას“ და „ჩევნი დროშას“ ძირითადად იგივე იდეა ამოძრავებდათ: ჩვენს გამოსვლას გამართლება ჰქონდა იმითი, რომ: 1. ახალი ძალა ვიყავით. 2. ჩევნ გვყავდა კაცი ლევან ზურაბიშვილის სახით, რომელსაც შეეძლო წინ წადლოლოდა ჯერ ემიგრაციას და მერე – მთელი ქართველი ხალხის განმანთავისუფლებელ ბრძოლას.

სოციალ-დემოკრატები მიჩვეულნი იყვნენ ჰეგემონობას. მათ უკირდათ წინამძღვლობა მემარჯვენე ლევან ზურაბიშვილისთვის დაეთმოთ, მაგრამ მათ შორისაც ნელ-ნელა ბევრი აღიარებდა მის ავტორიტეტს. ეროვნულ-დემოკრატიული სექტორი და უპარტიონი, გარდა ინტრიგანებისა, ლევანის წინამძღვლობას აღიარებდნენ.

ჩვენი გამოცემის მთავარი აზრი იყო რომ ეს ნდობის კაპიტალი გაგვეძლიერებინა, გაგვემტკიცებინა.

ყველა ქართველში ზის ფატალისტისა და ცრუმორწმუნის ჭიდა და ღრღნის მის არსებას. ასევე მეც მაღელვებს ის აზრი, რომ ვიღაცა ჯადომ დაგვწყველა. იმავე წელს, აგვისტოს 20-ს, სამკურნალო აბანოებზე მყოფი გარდაიცვალა მიშა გრიგორია, ისე, რომ რაიმე მნიშვნელოვანი წვლილის შემოტანაც ვერ მოასწრო ჩვენს საქმიანობაში.

1975წლის ათ თებერვალს კი, მძიმე ავალმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ლევან ზურაბიშვილი.

ამის შემდეგ „თავ. ტრიბუნამ“ დაკარგა მისი მთავარი დანიშნულება. დიდ ხანს ვმერყეობდი, გამეგრძელებია თუ არა გამოცემა. ბოლოს გაგრძელება ვარჩიე. დაე, მკითხველმა განმსაჯოს!

რედაქტირის წევრებად შემოვიყვანე მიშა ქავთარაძე და გიორგი ნოზაძე.

1977 წლის ბოლოს, მ. ქავთარაძემ დასტოვა „თავისუფლების ტრიბუნა“ იმ მიზეზით, რომ ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი „ივერია“ ურედაქტოროდ დარჩა და მისი გაგრძელება ინება. იმა-



ვე დროს, ხანდაზმულობის გამო განთავისუფლება მოხარული მომავალი გიორგი ნოზაძემ.

ამის შემდეგ, დავრჩი ერთპიროვნული რედაქტორ – გამომცემელი ბოლომდე.

კიდევ ერთი თარიღია აღსანიშნავი: **1984** წლის იანვარში გამოვიდა **42-ე ნომერი „თავისუფლების ტრიბუნისა“**.

ამის შემდეგ, გაზეთს სახელიც შევუცხადე და ფორმაც; სახელად ვუწოდე „გუშაგი“. ამ აპელაციის ქვეშ, ასაკვირველია, ვგულისხმობი: „ვდარაჯობ ქართველ ერს!“. ააც შეეხება ფორმას, – გაზეთის მაგივრად მას მივეცი წიგნაკის სახე.

ჩემთვის ტანიშნულება ორივესი ერთი და იგივეა: ინფორმაცია, აგიტაცია **1921** წელს დაპყრობილი ჩვენი სამშობლოს სასახელმძღვანელო, იქ დემოკრატიული წესწყობილებისა და თავისუფლების გაბატონება.

დიდ მიღწევებს ჰქონდა ადგილი ამ უკანასკნელ წლებში. **1990** წლის ცხრა აპრილიდან, საქართველოს რესპუბლიკა თეორიულად დამოუკიდებელია რუსეთისაგან, ფაქტობრივად კი ჯერ შორს გართ.

ღმერთმა ინებოს, რომ ამასაც მომასწროს!

* * * *

ფ ს ე ვ დ თ ნ ი მ ე ბ ი

ამ ჩემი მწერლობის მანძილზე მრავალ ფსევდონიმს ვხმარობდი. არა იმიტომ, რომ დავმალულიყავი, არამედ იმიტომ, რომ ჩემი ურნალებისათვის მრავალფროვანი თანამშრომლობის სახე მიმეტაც.

1. „თავისუფლების ტრიბუნასა“ და „გუშაგში“ ყველაფერი ჩემია, რასაც სხვა ავტორი არ აწერს ხელს.

2. ჩემს კალამს ეკუთვნიან: „მამულს განშორებული“, „მ. გ.“, „გ. ლუბაშვილი“, „გულბათ გულბათიშვილი“, „გ. ქართველი“, „ქორონიკონი“, „გ. ჭალელი“, „გ. პერევისელი“, „პოეზიის ქაშნიკი“, „პარიზელი იმერელი“. „პატუნა“.

* * * *

გ ა მ ო მ შ ვ ი დ ო ბ ე ბ ა

მშვიდობით, მკითხველებო, თქვენ ყველა ჩემი ახლობელი -
მესაიდუმლე ხართ.

მე წინააღმდეგი ვარ რასებისა და ხალხების. აღრევის.
ბუნება მრავალფეროვანია, კაცობრიობაც ასევე უნდა იყოს.
ერები უნდა ანგითარებდნენ საკუთარ ენას და ვითარდებოდ-
ნენ დედა-ენაზე. ჯერ ეს სრულყოფილად არ ჩანს, მაგრამ
გაეროს მაგალითზე, იმედი მაქვს, რომ ნელ-ნელა შეიქმნება
მსოფლიო ხელისუფლება, რომელიც ჰარმონიულად შეათავსებს,
მოარიგებს სახელმწიფოებისა და ერების ურთიერთობას. „მგე-
ლსა და ცხვარს ერთად ეძოვოს“, ეს საუკუნო და სანუკვარი
ოცნება ამხდარიყოს!

ჯანსალიც რომ ვიყო, **76** წლის კაცს მაქვს მორალური
უფლება, საზოგადო საქმიანობიდან თავი რომ გავინთავისუფლა...
ჩემს უმსტრ სურიოზული აცადმყოფობაც ასაზრდოებს.

მაშ, კიდევ ერთხელ, მეგობრებო, გემშვიდობებით!

* * *

აუცილებელი სამაღლობელი

ძვირფასო მკითხველო, „გუშაგის“. ეს ბოლო ნომერი დღის სინათ-
ლეს ვერ იხილავდა ჩემი უანგარო მეგობრის, – სანდრო თუშმალ-
იშვილის. დაუფასებელი სამსახურის გარეშე. მე უღრმესი მაღლო-
ბელი ვარ არა მხოლოდ მისი, არამედ იმ ერისაც, რომლის წიაღ-
შიც ის დავაუკაცდა. ასეთ ერს სიკვდილი არ უწერია და მე შე
მიძლია, მშვიდად გავიდე ამ ქვეყნიდან...


გიორგი წერეთელი



შუალამეა, ჩრდილოეთის ქარი ონაგრობს,
ღამის წყვდიადში იკლაკნება ელვის გრეხილი; . პიგდებითი
წვიმის წვეთები წკანწყარებენ, ფარდა ქანაობს,
თითქოს აფრთხობდეს შორეული მეხის ქუხილი.
არ მეძინება. ნელავ ვფურცლავ გაცრეცილ ფურცლებს,
გმლავ ცოცხლდებიან აჩრდილები გავლილ ბრძოლების.
გათავდა აწმყო. აღარ ზარავს ქუხილი ყურებს,
აწ სიტყვები ქუხს გაყვითლებულ „ქართლის ცხოვრების“.
ვხედავ მუზარადთ გადაფხრეწილთ, ჩაჩქანთ დამსხვრეულთ,
სისხლში შეღებილ მეომართა სახეთ აძღვრეულთ.
მებრძოლთ ყიჯინა. იერიშზე მისვლის ყივილი...
ალიონს ზარავს გამწარებულ დედის კივილი.
ბრძოლის ყიჯინა აფროლადებს დროებით ძლეულს,
ახალი წყება კვლავ იტაცებს დროშას დაცემულს
და, როგორც გუშინ, როს მამალი უხმობს ალიონს,
გვლავ წითელ ფერად შეღებავენ: მტკვარს, არაგვს, რიონს...
სულ სისხლი, სისხლი. სისხლში ცურავს მთლად ისტორია.
რა სავალალო ამბავია, მაგრამ სწორია:
ერთიც არ ვიცით წინაპარი თუ სად მარხია,
როს ყოველ აღვილს მათი წმინდა სისხლი აცხია.
სისხლი, ო, სისხლი! სავალალო, მაგრამ სწორია:
სისხლიანი ხმლით უწერიათ ეს ისტორია
და, როს ყოველი უამთ სიავეს გადაჰყოლია,
სისხლის ზოლები წარუხოცლად ზედ გასწოლია.
— მიყვარს სიცოცხლე. სიკვდილიდან არას მოველი.
სამარის კართან, მწამს, თავდება არსი ყოველი,
მაგრამ მზადა ვარ, როს მამული ამას მოითხოვს,
მისი ველები ჩემი სისხლის არხით მოიჩრდის.
როცა, მამულო, ჩემი სისხლი კი დაგჭირდება,
(მოვალეობა მცეარნახებს, არა დიდება).
როცა ეგ წყლულნი შვილთა სისხლით უნდა აიცრა,
დანის ერთ მოსმით, მზად ვარ ყველა ძარღვი დავიჭრა.

გიორგი წერეთელი
პარიზი, 1947 წ. ივლისი.

ԱՐԵՎԵՄՆԻ
ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏԻ



ԱՐՅԱՆ ԿԱՐԱԲԻՇՎԻԼԻ



ԹԻՖՐԵՆ. ՑՐՈՂՈՂՈՎԻ



ՑՈՆՐԳՈ ԽՈԶԱԾԵ



ԹԻՖՐԵՆ ՔԱՂԴԱՐԱԾԵ



ՑՈՆՐԳՈ ՇԵՐԵԹԵԼՈ



ԵՐԵՐՈ ՇԵՐԵԹԵԼՈ

ს ა რ ჩ ე ბ ი

- 2 მშობელო მიწავ!
- 3 ისევ დაზავებაზე
- 5 მიმოწერა საფრანგეთისმთავრობასთან
6. პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანს
- 8 მტრის შეგონება
- 10 მითი და რეალობა
- 19 ქართველთა უძველესი ისტორია
- 28 კურთხევის დღეს
- 31 არმოთქმული სიტყვა
- 32 გმადლობო, მეუფეო
- 35 წმინდა ნინოობა
36. 1921წ. დალუცულო ა. ვის
- 38 პროკოფ ინწკირველის იუბილე
- 40 ქრონიკები ახლო წარსულიდან
- 44 გამსახურდია - გორბაჩევი
- 45 მოგონებები
- 50 ცხრა აპრილის
- ისტორიული მნიშვნელობა
- 51 სამღლოვიარო განცხადებები
- 52 ნიკოლოზ ჯანელიძე
- 56 ფრანგული პრესიდან
- 57 ქართული პრესიდან
- 60 „გუშაგის“ შემოწირულებანი
- 60 სალიკვიდაციო ანგარიში
- 60 ახალი წიგნები
- 61 „თავისუფლ. ტრიბუნის“ დაარსების დღე მოქლე ისტორია
- 63 ლევან ზურაბიშვილი
- 64 ფსევდონიმები
- 65 გამომშვიდობება
- 65 აუცილებელი სამადლობელი
- 66 სისხლი (ლექსი)



გიორგი წერეთელი
გიორგი წერეთელი

გიორგი წერეთელი
გ. წერეთელი
სანდრო თუშმალიშვილი
ალ. მანველიშვილი

მამა არჩილ დავრიშაშვილი
მიხ. გოგიტიძე - ვოდე
მამა არჩილ დავრიშაშვილი
მამა არჩილ დავრიშაშვილი
რეზო გოგიტიძე - ვოდე
გივი კობახიძე
რადიო „თავისუფლება“
ქრისტ. იმნაიშვილი

ედ. შევარდნაძე

პროფ. ვინცერიდ ბოედერი

გიორგი წერეთელი

ეთერი

გიორგი წერეთელი
გიორგი წერეთელი
გიორგი წერეთელი
გიორგი პერევისელი



GOUCHAGUI

PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE
(POLITIQUE - LITTERATURE - MÉMOIRES)

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE : 8, RUE DES MARCHAIS
75019 PARIS

EDITION HORS COMMERCE